ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 8 ოქტომბერი 2004 №234 (2255) ფასი 50 თეთრი




ბადრი კოპალიანის ფოტო

## ალენ ჟირესი უკრაინაზე ამბობს: არაფერს ამბობს

## ფრანგმა დინამოს შანსი მისცა

# ტორპედო ვაკეში 1 გადეიწვა 0



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 7 | 2 | 124:7 | 23 |
| ტორპედო | 10 | 6 | 3 | 115:4 | 21 |
| ბათუმი | 10 | 6 | 2 | 217:6 | 20 |
| თბილისი | 10 | 6 | 2 | 221:12 | 20 |
| ლოკომოტივი | 10 | 5 | 4 | 115:4 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 2 | 319:14 | 17 |
| სიონი | 10 | 2 | 1 | 79:26 | 7 |
| ზესტაფონი | 10 | 2 | 0 | 86:26 | 6 |
| დილა | 10 | 1 | 1 | 86:19 | 4 |
| კოლხეთი | 10 | 1 | 1 | 86:20 | 4 |

ბადრი კოპალიანის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ალენ 007

## ჟირესმა უკრაინა დაიწყო

...ნაკრების მზადების გადამწყვეტი ფაზა დაიწყო, ხვალიდან ეროვნული გუნდის თითოეული წევრის ყურადღება მთლიანად უკრაინასთან 13 ოქტომბრის მატჩისკენ იქნება მიპყრობილი — *ასე დაიწყო გუშინდელი პრესკონფერენცია საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა. ის და მისი თანაშემწე გია გურული ჩვენთან შესახვედრად პირდაპირ „ლოკომოტივის" სტადიონიდან მოვიდნენ, სადაც რკინიგზელები ჩემპიონატის ლიდერ „ტორპედოს" მასპინძლობდნენ.*

— ამ წუთისთვის შეკრებაზე 11 ფეხბურთელია, ყველა ლეგიონერი. მათ შორის არის ზურაბ ხიზანიშვილიც, რომელიც ჯერჯერობით ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. ორი ლეგიონერი, მეკარე გიორგი ლომაია და მცველი კახა მყავანაძე ზეგ შემოგვიერთდებიან. მათ გუნდებს რუსეთის პირველ დივიზიონში აქვთ მატჩები და ჩამოსვლას ვერ ასწრებენ. ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები კი ჩვენთან ხვალიდან იქნებიან. მათ დღეს თამაში ჰქონდათ და დასვენების საშუალება მივეცით — თქვა ალენ ჟირესმა...

— ახლა ზუსტად ვერ გეტყვით ზურაბ ხიზანიშვილი უკრაინასთან ითამაშებს თუ ვერა. ის მსუბუქად ვარჯიშობს. ყოველდღე ექიმების სიტყვას ველით. იმედი მაქვს, ზურა ლვოვში ითამაშებს.

— კალაძის არყოფნაში უკრაინასთან ვინ იქნება ნაკრების კაპიტანი, არ გეტყვით. ჯერ თავად ფეხბურთელი გაიგებს ამ ამბავს და მერე სხვა.

— უკრაინის ნაკრების დანიაში და ყაზახეთში ჩატარებული მატჩების ფირი უკვე ენახე. მეტოქეზე ინფორმაციის ნაკლებობას არ ვუჩივი. უკრაინამ, მაგალითად დანიაში ისევე ითამაშა, როგორც ამასწინათ საფრანგეთის ნაკრებთან. ჩვენს მომავალ მეტოქეს ათლეტური მცველები ჰყავს და დანიელ თავდამსხმელებს ისინი პერსონალურად მეურვეობდნენ. ყაზახეთში კი უკრაინას განსხვავებული ტაქტიკა ჰქონდა. ბლოხინი ძირითადად 3-5-2 ან 4-4-2 სისტემით ათამაშებს გუნდს. თუმცა, ბუნებრივია, საინტერესოა უკრაინის ნაკრების საშინაო მოდელი. 9 ოქტომბერს უკრაინა საბერძნეთს მასპინძლობს და ამ მატჩის შემდეგ ჩვენს მომავალ მეტოქეზე უფრო მეტი ინფორმაცია გვექნება. ისე კი, ალბათ, თქვენც ხვდებით, უკრაინელთა შეტევა მთლიანად შევჩენკოზეა აწყობილი.

... უკრაინა — საბერძნეთზე ჩვენი დამკვირვებელი, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ მის ვინაობას არ გეტყვით. ჩათვალეთ, ამ შეხვედრას „აგენტი 007" დაესწრება და საფუძვლიან ინფორმაციას მოგვაწვდის.

— ფეხბურთის თამაში სხვაა, მატჩამდე ინფორმაციის გავრცელება — სხვა. ყურს არ ვუგდებ, ბლოხინი რაზე ჩივის. უთქვამს დაცვის ცენტრში გვაქვს პრობლემებიო, ახლა დაცვის მარცხენა ფლანგი ჰქონია გასაძლიერებელი... ეს ჩვენთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. ასე ვთქვათ, საინფორმაციო ომია. მეც შემიძლია რაღაც-რაღაცები ვთქვა და მეტოქეს თავგზა ავუბნიო თუ, რა თქმა უნდა, კოლეგა ჩემს სიტყვებს დაიჯერებს.

— უკრაინაში რომელ ქალაქში ვითამაშებდით, ეს ჩვენი გადასაწყვეტი არაა. ვთამაშობთ ლვოვში? ვითამაშოთ. როგორც მითხრეს, იქ ჩინებული მოედანი ყოფილა და მგონი, სტადიონი ბოლომდე შეივსება. სავსე ტრიბუნები კი არ გვაშინებს. თურქეთშიც ხომ ასე იყო.

*და კიდევ, არასანაკრებო თემა, თუმც არანაკლებ საინტერესო — „დინამო" უეფას თასზე. თბილისელთა მომავალი მეტოქის ფრანგული „სოშოს" თაობაზე, ალენ ჟირესს „დინამოსთვის" უკვე დაწვრილებითი ინფორმაცია მიუწოდებია, ჩვენ კი გვითხრა:*

— „სოშო" რა გუნდია, როგორ ფეხბურთს თამაშობს... ნუ ღელავთ, ეს ყველაფერი „დინამოს" უკვე ვუთხარი. „სოშო" კარგი გუნდია, მაგრამ ამ ჩემპიონატში მაინცდამაინც ვერაფრით გამოირჩევა. სეზონის წინ „დინამოს" მეტოქემ „მარსელსა" და „ლიონში" ორი წამყვანი ფეხბურთელი გაყიდა და შარშანდელთან შედარებით აშკარად დასუსტებულია. გეტყვით, რომ თბილისში „დინამოს" „სოშოს" დამარცხების კარგი შანსი აქვს. შედეგი საზღვა და ბევრიც ითქვა, რომ „დინამო" სტუმრად ძალიან ძლიერად თამაშობს. ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის, ეს საინტერესოა და ამიტომაც, გადავწყვიტე, რომ „დინამოს" ნიუკასლში თამაშს დავესწრო.

*საქართველოს ნაკრები დღეიდან დღეში ორჯერ, დილით „დინამოს" დიღმის ბაზაზე ივარჯიშებს, საღამოს კი „ოლიმპის" სტადიონზე. შევახსენებთ, ჩვენები ლვოვში ორშაბათს გაფრინდებიან.*

**კობა ინასარიძე**

### ირლანდია

**პრემიერლიგა**

**გადადებული მატჩი**

**დუბლინი — უოტერფორდი**

**გადაიდო**

# რა გვინდა ესპანეთში?!

## რატომ სჯობს ამერიკული ქართულს?



**რა თქმა უნდა,** ანდრეი შევჩენკო!

სექტემბერში, „სპორტ-ექსპრესის" ყოველთვიურ გამოკითხვაში ესენგეს საუკეთესო ფეხბურთელი „მილანის" უკრაინელი სუპერვარსკვლავია. შევამ 69 ქულა დააგროვა და საერთო ჩათვლაში 177 ქულით უსწრებს მეორეადგილოსან ალექსეი სმერტინს.

სასექტემბრო გამოკითხვაში საქართველოდან გაზეთი „მთავარი სპორტი" მონაწილეობდა და ასეთი ხუთეული შეადგინა: გიორგი ნემსაძე, მალხაზ ასათიანი, ანდრეი შევჩენკო, ანდრეი არშავინი, ალექსანდრ კერჟაკოვი.

სხვათა შორის, იანვრის მერე ლაურეატთა შორის ორი ქართველი არასოდეს მოხვედრილა. მაშინ ვიტალი დარასელიამ და შოთა არველაძემ დააგროვეს ქულები, ახლა კი მათ ნემსაძე-ასათიანის დუეტი შეემატა.

თბილისის „დინამოს" კაპიტანმა თითო პირველ-მეორე, სამი მეოთხე და ორი მეხუთე ადგილი აიღო — სულ 17 ქულა. შედარებით მწირია ასათიანის მაჩვენებელი: თითო მეორე-მესამე და ორ-ორი მეოთხე-მეხუთე ადგილები — სულ 13 ქულა.

ისე, გამოკითხვა რომ თანდათან ტენდენციური რომ ხდება, უკვე ფაქტია. თავად განსაჯეთ: მაგალითად, რითი სჯობს ვეტერანი იგორ სიმუტენკოვი (რომელმაც აშშ-ის თასზე გოლი გაიტანა) მალხაზ ასათიანს, ვინც თურქეთ-ალბანეთთან შესარჩევ მატჩებში გოლი და საგოლე პასი მიითვალა, რუსულ პრემიერლიგაში ზედიზედ ორჯერ გახდა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი და თან „სპორტ-ექსპრესის" სხვა გამოკითხვით, რუსული პრემიერლიგის ცენტრალურ მცველთა შორის ლიდერობს?!

საერთოდ, კი ისე ჩანს: რომ არა შევჩენკო, პოსტსაბჭოურ სივრცეში რუს ფეხბურთელებს ბადალი არ ჰყავთ. ვითომ?

ამიტომაც, „სარბიელი" იმაზეც დაფიქრდება, გააგრძელოს თუ არა მონაწილეობა ესენგეს რჩეული ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვაში.

**ბახა შალამბერიძე**

| საერთო ჩათვლა იანვარი-სექტემბერი | |
|---|---|
| შევჩენკო (უკრაინა) | 413 |
| სმერტინი (რუსეთი) | 236 |
| კარპინი (რუსეთი) | 150 |
| ვერპაკოვსკისი (ლატვია) | 132 |
| ალენიჩევი (რუსეთი) | 98 |
| კერჟაკოვი (რუსეთი) | 97 |
| სიჩოვი (რუსეთი) | 94 |
| ტიმოშჩუკი (უკრაინა) | 71 |
| კოლინკო (ლატვია) | 62 |
| კასიმოვი (უზბეკეთი) | 60 |
| გლები (ბელარუსი) | 58 |
| მალაფეევი (რუსეთი) | 55 |
| კარიაკა (რუსეთი) | 47 |
| ესიპოვი (რუსეთი) | 37 |
| დარასელია (საქართველო) | 36 |
| პანოვი (რუსეთი) | 36 |
| არშავინი (რუსეთი) | 34 |
| აკინფეევი (რუსეთი) | 33 |
| გახოკიძე (საქართველო) | 31 |
| რომაშჩენკო (ბელარუსი) | 28 |
| არველაძე (საქართველო) | 25 |
| მოსტოვოი (რუსეთი) | 24 |
| ოვჩინიკოვი (რუსეთი) | 24 |
| პოშკუსი (ლიტვა) | 22 |
| კულიევი (თურქმენეთი) | 20 |
| მანუჩარიანი (სომხეთი) | 19 |
| იაშვილი (საქართველო) | 18 |
| ნემსაძე (საქართველო) | 17 |
| ვორობეი (უკრაინა) | 16 |
| გეინრიხი (უზბეკეთი) | 16 |
| ჟირკოვი (რუსეთი) | 16 |
| იანკაუსკასი (ლიტვა) | 16 |
| შოვკოვსკი (უკრაინა) | 16 |
| პეტროსიანი (სომხეთი) | 15 |
| სიმუტენკოვი (რუსეთი) | 14 |
| ასათიანი (საქართველო) | 13 |
| პროხორენკოვსი (ლატვია) | 13 |
| რუბინსი (ლატვია) | 12 |
| შემბერასი (ლიტვა) | 11 |
| ბელკევიჩი (ბელარუსი) | 10 |
| ბუგაევი (რუსეთი) | 5 |
| კალნინშსი (ლატვია) | 3 |

СПОРТ ЭКСПРЕСС

## გამოკითხვა

### თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი

| სექტემბერი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) | 9 | 4 | 2 | 1 | - | 69 |
| ანდრეი არშავინი (რუსეთი) | 3 | 1 | 2 | 3 | 3 | 34 |
| ალექსეი სმერტინი (რუსეთი) | 1 | 3 | 3 | 3 | 2 | 34 |
| იგორ აკინფეევი (რუსეთი) | 1 | 4 | 2 | 1 | 4 | 33 |
| ალექსანდრ კერჟაკოვი (რუსეთი) | 1 | 1 | 4 | 2 | 1 | 26 |
| გიორგი ნემსაძე (საქართველო) | 1 | 1 | - | 3 | 2 | 17 |
| იგორ სიმუტენკოვი (რუსეთი) | - | 1 | 2 | 1 | 2 | 14 |
| მალხაზ ასათიანი (საქართველო) | - | 1 | 1 | 2 | 2 | 13 |

ფეხბურთი

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა
პირველი ლიგა
9 ოქტომბერი
მერვე ტური
ამერი — ჩიხურა
თბილისი საჩხერე

დასაწყისი 15 საათზე. დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)

თბილისი. 7 ოქტომბერი. 17 საათი. ლოკომოტივი. 400 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:0 ტორპედო

| |
|---|
| 1:0 ბობოხიძე (10) |

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი: გვარამაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, რ. ონიანი, ბაქრაძე, გოგობერიშვილი, სიჭინავა, ბურდული, ლ. ჩხაიძე (ზ. ლაცაბიძე 87), ბობოხიძე (სანიკიძე 46), სირბილაძე<br>*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; სოსელია, გაგუა, მედოევი, ქებაძე<br>მწვრთნელი: ზაურ სვანაძე | ტორპედო: სტურუა, ებრალიძე, გამეზარდაშვილი, მემარნიშვილი, ს. თოდუა, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი, გ. დარსაძე, ნერგაძე, მეგრელაძე, კოშკაძე<br>*სათადარიგონი:* რევიშვილი; რევაზიშვილი, ლ. მერებაშვილი, ლალაძე, ადუაშვილი, მუმლაძე, დათუნაშვილი<br>მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

| |
|---|
| გაფრთხილება: გამეზარდაშვილი (81), სანიკიძე (83) |
| მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე |

საქართველოს პირველი უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი წრე ლიგა 10 ტური



# ზაურ სვანაძის ლოკომოტივმა ტორპედოს პირველი შლაგბაუმი ჩამოუწია




„ტორპედოს“ კართან ხიფათი ბევრი იყო

**დავით თავართქილაძე**

ქუთაისის „ტორპედო“ ერთადერთი იყო, რომელმაც პირველი წრე დაუმარცხებლად ჩაამთავრა და წაუგებელი მატჩების სერია გუშინ შეუწყვიტა თბილისის „ლოკომოტივმა“.

ლოკომოტიველებმა ქუთაისელებს პირველ რიგში უკეთესი მომზადების ხარჯზე აჯობეს. ეს ყველაზე უფრო კარგად მეორე ტაიმში გამოჩნდა — „ტორპედოს“ მოძრაობა მოქნილი და სხარტი არ იყო, თორემ სამგზის ჩემპიონს მონდომება როდი დაეწუნებოდა.

„ლოკომოტივის“ უფროსობამ მატჩზე ბავშვები მიიწვია — სმენადაქვეითებულები და ინტერნატელები — სპეცსკოლელი ბავშვების საშინაო მატჩებზე დაპატიჟებას „ლოკომოტივი“ ტრადიციად აქცევს — ასეთია კლუბის ხელმძღვანელობის განზრახვა. ეს ოდენ ქველი ჟესტი არაა, გუნდს გულშემატკივარსაც მატებს და კლუბის ასეთი პოლიტიკა მისაბაძი უნდა გახდეს სხვებისთვის.

...პირველ ტაიმში ჟინჟლავდა და სველ მოედანზე გუნდებმა შორეულ დარტყმებს მიმართეს — თენგიზ სიჭინავას ზურაბ სტურუამ მისთვის უხერხული შორეული დარტყმა აუღო, ხოლო ტორპედოელმა ალეკო კოშკაძემ ოდნავ ააცილა მასპინძელთა კარს.

„ლოკომოტივი“ მოედნის ცენტრში უკეთ მოქმედებდა და თამაშიც მისი იყო. ზაურ სვანაძემ ორი ფორვარდით ათამაშა — მიხეილ ბობოხიძე და ირაკლი სირბილაძე, რაც ალბათ პატარა სიურპრიზი იყო „ტორპედოსთვის“ — ადრეული „ლოკომოტივი“ მეტწილად ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ირჯებოდა.

შეხვედრის ერთადერთი და მიმდინარე ჩემპიონატში „ტორპედოს“ პირველად დამამარცხებელი გოლი ასე გავიდა: როინ ონიანმა აუტი მოაწოდა, ქუთაისელთა საჯარიმოში მაღალი ბურთი ლაშა ჩხაიძემ მოიგო, რომლის პასი ბობოხიძემ მკერდით ჩამოიღო და ნახევარბრუნით, მიწაზე დაუშვებლად „ტორპედოს“ კარს შეაწყვიტა.

გოლის შემდეგაც თამაშს „ლოკომოტივი“ კარნახობდა, ბურთს მეტოქეზე უკეთ აგორებდა და შეტევაშიც უფრო აგრესიული ჩანდა. თბილისელთა უპირატესობის გაზრდა ლაშა ჩხაიძეს მართებდა, ალეკო გოგობერაშვილის პასის შემდეგ ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ 11-12 მეტრიდან უხეიროდ, არაზუსტად დაარტყა.

სიჭინავამ ერთხელაც სცადა შორიდან გატანა, მაგრამ სტურუამ მაღალი ბურთი კუთხურზე მოიგერია — „ლოკომოტივს“ დიდი არა, მაგრამ მკვეთრი უპირატესობა ჰქონდა.

თუმც ტაიმის ბოლოს „ტორპედომ“ თითქოს თვალებში გამოიხედა, ღონივრად წავიდა წინ და ლონიერ ჯებირებსაც შეასკდა — აქედან გაჩნდა ვარაუდი, რომ მეორე ტაიმი უფრო საინტერესო იქნებოდა.

შესვენების შემდეგ ზაურ სვანაძემ იძულებით შეცვლას მიმართა — ტრავმირებული ბობოხიძის ნაცვლად ნახევარმცველი ლევან სანიკიძე შეუშვა, „ლოკომოტივმა“ შუა ხაზი გააძლიერა და ერთი ფორვარდით გააგრძელა მატჩი.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, „ტორპედოს“ ანგარიშის გათანაბრების შანსი რომ მიეცა — მიხეილ მახვილაძე შეცდა, ბურთი გია მეგრელაძემ მოიგდო, ვინც თითქმის პირისპირ რჩებოდა დავით გვარამაძესთან, მაგრამ რატომღაც შეყოვნდა და ხიფათიც თავად გააუვნებლა „ლოკომოტივის“ კართან.

მასპინძლებმა ცოტა არ იყოს, დაცვაში დაიხიეს, მაგრამ შეტევაც არ ავიწყდებოდათ. სიჭინავა და სანიკიძე რამდენჯერმე სახიფათო შორეული დარტყმებით დაემუქრნენ „ტორპედოს“, საჯარიმოში შეჭრილ გოგობერიშვილს კი სტურუამ აუღო, ლადო ბურდულსაც შეეძლო ოციოდე მეტრიდან გატანა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

საშუალო და შორი დისტანციიდან „ტორპედომაც“ გამოიდო თავი — გიორგი ნერგაძემ ოდნავ ააცილა მასპინძელთა კარს, ხოლო დავით ბოლქვაძის დარტყმას რამდენიმე რიკოშეტი მოჰყვა და საბოლოოდ გვარამაძე იოლად დაეუფლა ბურთს.

მატჩის მიწურულს „ტორპედომ“ უფრო მძლავრად გადაუჭირა მარწუხი მეტოქეს, მაგრამ გუშინ ქუთაისელების დღე არ იყო — გამარჯვება უფრო მწყობრად მოთამაშე და მოძრავ „ლოკომოტივს“ ერგო.

*ოთარ გაბელია:* სტანდარტულების დროს ბობოხიძეს აყვანა ერთს დავავალე, მაგრამ როცა გოლი გავუშვით, ბობოხიძესთან სხვა ტორპედოელი იყო — ასეთი შეცდომა დავუშვით. საერთოდ, დღეს სახიფათო მომენტები ცოტა შევქმენით.

— ჩვენ კარგად მომზადებული გუნდი არ გვეთქმის და ასეთი გუნდი აქამდე რომ ლიდერობდა, იმის მანიშნებელია, თუ რა დონის ჩემპიონატი გვაქვს — ახლა ყველა გუნდის შესაძლებლობა ვიცი და საშინაო მატჩებში მაქსიმუმის გაკეთება შეგვიძლია.

— უკვე არის იმაზე ლაპარაკი, რომ გია მეგრელაძე სხვა გუნდებს სურთ, მაგრამ ამ ეტაპზე მას ვერავინ წაიყვანს. წინ ჯერაც დიდი მარათონი გველის და იმედია, რომ „ტორპედო“ უფრო ძლიერად ათამაშდება.

*ზაურ სვანაძე:* ბობოხიძე ჩვენთვის დიდი ძალაა და მისი არყოფნა გუნდს მეორე ტაიმში აშკარად დაეტყო. მეორე ტაიმში ასე ვქთვათ, შედეგზე ვითამაშეთ და განზრახ დავთმეთ რაღაც-რაღაცები.

— თუ ყოველთვის მეყოლება გუნდში ორი კარგ ფორმაში მყოფი ფორვარდი, ყოველთვის ორი თავდამსხმელით ვითამაშებთ.

— რაც შეეხება ბურდულს, ის ნელ-ნელა შედის ოპტიმალურ ფორმაში. მისი ძალიან დიდი იმედი მაქვს.



ალეკო გოგობერიშვილი გუშინაც ერთ-ერთი გამორჩეული იყო



თბილისურ-ქუთაისური სენდვიჩი: ირაკლი სირბილაძემ და ლევან სანიკიძემ დავით გამეზარდაშვილი შუაში მოიმწყვდიეს

საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი პირველი წრე ლიგა 10 ტური



ლადო ახალაიას (№9) ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში

# ბოლნისი ბულვარი არ არის სიონმა დინამო არბენინა

**კობა ინასარიძე** ბოლნისიდან

„დინამოსთვის“ სამი ქულა აუცილებელი იყო. წინა ტურში, ბათუმში სენსაციურმა მარცხმა თბილისელები ჩემპიონატის ლიდერ „ტორპედოს“ ჩამოარჩინა და გია გეგუჩაძის შეგირდებს ახლაც რომ ვერ ემარჯვათ, საქმე გაურთულდებოდათ. „დინამომ“ მოიგო, თუმც როგორც ანგარიშიდან ჩანს, სტუმრებს მოედანზე სასეიროდ არ ეცალათ — „სიონმა“ მეტოქეს მაგარი წინააღმდეგობა გაუწია. ბოლნისელებმა იბრძოლეს, იშრომეს, მოინდომეს, მაგრამ „დინამოს“ კლასთან მაინც ვერას გახდნენ.

არადა, სტუმრებმა ანგარიში მატჩის დასაწყისშივე, მე-10 წუთზე გახსნეს და მოსალოდნელი იყო, რომ „დინამოსგან“ ორ-სამ გოლსაც ვნახავდით. „სიონს“ კი ყურები არ ჩამოუყრია და, როგორც ვთქვით, მთელი ჯიგრით ითამაშეს.

„დინამოს“ გოლი კი მართლაც ჩინებული გამოდგა. სტუმრებმა ისეთი ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს, ზოგი ასეთს ვარჯიშზეც ვერ აკეთებს. შაშიაშვილმა, ნემსაძემ და კაკალაძემ ბურთი სწრაფად და მოხდენილად გაითამაშეს, კაკალაძე ფლანგიდან შეიჭრა „სიონის“ საჯარიმოში, დაბალი ჩააწოდა და ახალაიამაც უნაკლოდ დაარტყა — 0:1.

რამდენიმე წუთში თავად კაკალაძეს შეეძლო ანგარიშის გაორება, მაგრამ ცარიელი კარიდან ბურთი ცქვიტაიამ გამოიტანა. იმ ეპიზოდში მცველები და მეკარე შეცდნენ უხეშად და დინამოელმა ფორვარდმაც, ისინი, თითქოს, დაინდოო.

ტაიმი კი „დინამოს“ კართან შექმნილი სახიფათო მომენტით დასრულდა. იმ ერთადერთით, რაც „სიონმა“ მთელი მატჩისას შექმნა. ახლოდან ჩოხელის თავური მიზანს ასცდა.

შესვენების შემდეგ მოედანზე ბევრიც არაფერი შეცვლილა. „დინამოს“ უპირატესობა აშკარა კი იყო, ბურთს სულ სტუმრები აკონტროლებდნენ, მაგრამ საგოლედ ვერადავერ შეუტიეს — აკი ვთქვით, გამოუცდელი ბოლნისელები „დინამოს“ კბილებით დაუხვდნენო. თანაც, გავითვალისწინოთ, „სიონს“ ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი — კილასონია, გოგოლაძე და ფეიქრიშვილი აკლდა. ამათი არყოფნა ბოლნისელებისთვის მართლაც დანაკლისი იყო, თორემ არც „დინამოს“ უთამაშია უძლიერესი შემადგენლობით და ამაზე არაფერს ვამბობთ.

მეორე ტაიმში „დინამომ“ ერთი ნაღდი მომენტი გააცუდა: საჯარიმოს ხაზიდან ნემსაძის დარტყმული ასლანაძემ მოიგერია, დამატებაზე გონჩაროვმა კი ითამაშა, მაგრამ ჩოხელის არ იყოს, ახლოდან მისი თავურიც ასცდა მიზანს.

ბოლნისი. 7 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 500 (ტევადობა 3 600)

## სიონი 0:1 დინამო

| 0:1 ახალაია (10) | |
|---|---|
| სიონი: ასლანაძე, კობაური, ლამბაშიძე, ბ. შელია, ცქვიტაია, გ. დოლიძე, ვერემჩუკი, პ. ჩოხელი (ჩაგელიშვილი 76), დ. არჩვაძე (მიქავა 60), ზაზაშვილი (ალავიძე 64), რუსია<br>*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი; ოქროპირიძე, ნ. ლაბაძე, ვ. უგრეხელიძე<br>მწვრთნელი: ვარლამ კილასონია | დინამო: მამალაძე, შაშიაშვილი, გიგაური, ჭიჭვეიშვილი, კვირკველია, კანკავა (კაშია 90), ნემსაძე (რომერო 78), კაკალაძე, ახალაია (ქუცურუა 89), გონჩაროვი<br>*სათადარიგონი:* თოთლაძე; ხმალაძე, კ. მახარაძე, დვალიშვილი<br>მწვრთნელი: გია გეგუჩაძე |
| გაფრთხილება: კანდელაკი (36), შელია (70), ახალაია (71) | |
| მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ი. კახიანი (თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: ს. კოტრიკაძე | |

მოკლედ, „დინამომ“ მოიგო და მოგვიანებით, როცა „ლოკომოტივ“—„ტორპედოს“ ამბავი მორჩა, კვლავ ცხრილის სათავეში მოკალათდა.

*გია გეგუჩაძე,* „დინამოს“ მწვრთნელი: დაძაბული, კარგი, ტემპიანი თამაში იყო. ჩემთვის გასახარია, რომ „ბათუმში“ წაგების მერე გუნდმა გასვლითი მატჩი მოიგო. „სიონმა“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, სიმპათიური გუნდია და წარმატებას ვუსურვებ.

*ვარლამ კილასონია,* „სიონის“ მწვრთნელი: ვეთანხმები „დინამოს“ თავკაცს, კარგი, თვალსასეირო თამაში გამოვიდა. თუმც აშკარად ჩანდა, რომ „დინამო“ კლასით „სიონზე“ ძლიერია, მაგრამ არც ჩემს ფეხბურთელებს შეურცხვენიათ თავი და რაც შეეძლოთ, ბოლომდე იბრძოლეს. ქართული ფეხბურთის დონე უფრო ამაღლდება, თუ „დინამოს“ ყველა გუნდი ასეთ წინააღმდეგობას გაუწევს. დღეს ჩვენ ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი გვაკლდა, თუმც, დარწმუნებული ვარ, ისინიც რომ ყოფილიყვნენ, მაინც არაფერი შეიცვლებოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 7 | 2 | 1 | 24:7 | 23 |
| ტორპედო | 10 | 6 | 3 | 1 | 15:4 | 21 |
| ბათუმი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:6 | 20 |
| თბილისი | 10 | 6 | 2 | 2 | 21:12 | 20 |
| ლოკომოტივი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:4 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 17 |
| სიონი | 10 | 2 | 1 | 7 | 9:26 | 7 |
| ზესტაფონი | 10 | 2 | 0 | 8 | 6:26 | 6 |
| დილა | 10 | 1 | 1 | 8 | 6:19 | 4 |
| კოლხეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 6:20 | 4 |



მიხეილ კაკალაძე და „დინამო“ „სიონს“ გადაახტნენ

# ვარშალომიძემ ბათუმს გოლი აჩუქა

ბათუმი. 7 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური. 500 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 2:0 დილა

| 1:0 მახარაძე (64), 2:0 ხომერიკი (86) | |
|---|---|
| ბათუმი: გრიშიკაშვილი, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, ექონია, ხუჯაძე (ფირცხალაიშვილი 50), ქაცარავა, ჩიკვილაძე (მანჩხავა 35), გ. ნოდ. ჭელიძე, დარჩიძე (ი. შენგელია 69), ხომერიკი<br>*სათადარიგონი:* კაკალაძე, ბესიკ თედორაძე, დუმბაძე, ცანავა<br>მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | დილა: გ. სომხიშვილი, მელაძე, ჩაჩუა, თომაშვილი (ხატიაშვილი 72), ლომიძე, ბალაშვილი, ხანიშვილი, ქარქოზაშვილი, გაბლაია (მძინარიშვილი 72), ხანიშვილი, წუწუნავა (კურტანიძე 80)<br>*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; დ. ნადირაძე, მასურაშვილი, ფოფხაძე<br>მწვრთნელი: სოსო ვაშაკიძე |
| გაფრთხილება: შენგელია (80) | |
| მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია | |

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

თამაში უნიათოდ და ბურთის ფუჭი გორებით დაიწყო — არც ერთი გუნდი ფლობდა უპირატესობას და არც მეორე.

პირველი სახიფათო მომენტი კი გორელებმა შექმნეს და მერეც რამდენჯერმე სახიფათოდ დაურტყეს სოსო გრიშიკაშვილს.

გორელები შედარებით ხშირად უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ ბათუმელები კონტრშეტევებით იჩხვლიტებოდნენ.

ამასობაში გიორგი ჭელიძე „გაიპარა“, ერთი შეხებით ლევან ხომერიკი დატოვა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ლევანმა ბურთი კარს ააცილა.

ბათუმელები თანდათან გამოცოცხლდნენ, მარწუხებს მოუჭირეს და საგოლე მომენტებიც ბლომად შექმნეს.

შალვა ხუჯაძემ მარცხენა ფლანგზე მოძებნა თენგიზ ჩიკვილაძე, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და უძლიერესადაც დაარტყა — მეკარეს ბურთი ფეხზე მოხვდა, მაღლა აუხტა და... „დილა“ მცველმა მელაძემ იხსნა.

36-ე წუთზე „ბათუმმა“ მაინც გაიტანა — ვიტალი დარჩიძეს გარჯა ჭელიძემ დაფასა, თუმც... თანამსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

მალე ბათუმელთა კაპიტანმა ვანო მახარაძემ დაარტყა ოცდახუთი მეტრიდან — ბურთი ძელს მოხვდა. დამატებაზე ყველას ხომერიკმა დაასწრო და... კვლავ გაისმა კრიჭაშვილის სასტვენის ხმა, რომელმაც მორიგი თამაშგარე დააფიქსირა.

საერთოდაც, პირველ ტაიმში კრიჭაშვილი უფრო გამოირჩეოდა ვიდრე ფეხბურთელები, რის გამოც გულშემატკივრები გაღიზიანდნენ.

მეორე ნახევარი ამირან გოგიტიძის შეგირდებმა აქტიურად დაიწყეს და პირველივე წუთებზე სტუმრები შებოჭეს. შეცვლაზე შესული ფირცხალაიშვილიც კარგად ჩაერთო თამაშში და ბათუმელთა შეტევებს სიმწვავე შეემატა.

მალე მცველი ექონია ჩაერთო შეტევაში, ორი გორელი ულამაზესი ფინტებით გააბითურა და საჯარიმოში ჩააწოდა — ჭელიძის თავურს მეკარე გიორგი სომხიშვილი გაუმკლავდა.

„ბათუმი“ შეტევას შეტევაზე აკეთება, მაგრამ გოლი არა და არ გადიოდა.

ნავსი 64-ე წუთზე გატყდა. ფირცხალაიშვილის აქტიურობით გორელები დაიბნენ, არეულობაში ბურთი მახარაძეს მიუვიდა და — 1:0.

რამდენიმე წუთში სტადიონზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ლევან ვარშალომიძე მოვიდა და გულშემატკივრებმაც ანგარიში მიახარეს.

ვარშალომიძის გამოჩენა და მეორე გოლი ერთი იყო. ისევ ფირცხალაიშვილმა იაქტიურა, ბურთი ხომერიკს დაასვა თავზე და ანგარიშიც გაიზარდა.

ბათუმელები ამის შემდეგაც განაგრძობდნენ შეტევებს, მაგრამ მეტის გატანა ველარ მოახერხეს.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი პირველი წრე **10 ტური**

თბილისი. 7 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი. 1 500 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 2:0 ზესტაფონი

| | |
|---|---|
| 1:0 მიკუჩაძე (87პ), 2:0 იაშვილი (90) | |
| **თბილისი:** დევაძე, ლოლაძე, გ. კვარაცხელია, მიქიაშვილი, ელიავა, ხოჯავა, შ. ჯიქია (ა. კალაძე 33), გოგუა, გენაძე (მიკუჩაძე 65), ს. იაშვილი, ფიფია (გ. ნუგ. ჭელიძე 55) *სათადარიგონი:* ბ. შეყრილაძე, გ. ვ. მიქაძე, ქემოკლიძე, ჟღენტი **მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი | **ზესტაფონი:** ცინაძე, რაქვიაშვილი, სიდამონიძე, ძამსაშვილი, გვარუციძე, ვ. ქუთათელაძე (კახნიაშვილი 28), გ. თურმანიძე, ნუდნი (პარამონოვი 90), ბესარაშვილი, შავგულიძე (ქურციკიძე 75), ბ. ნოზაძე *სათადარიგონი:* მერკვილიშვილი, მელიქია, თ. ჯაფარიძე, სულაკაძე **მწვრთნელი:** ზაურ ჩუბინიძე |
| **გაფრთხილება:** ხოჯავა (26), ლოლაძე (58), გოგუა (72) | |
| **გაძევება:** ძამსაშვილი (87) | |
| **მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი) | |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი | |



„ზესტაფონის" ახალი მწვრთნელი თემურ მახარაძე ვითომ უბრალო მაყურებელი იყო

# ტყუილს მოკლე ფეხები აქვს მახარაძე ზესტაფონში დაცვით მივიდა

**გიორგი ვაშაკიძე**

როგორც უკვე გაუწყეთ, ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ზესტაფონს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — თემურ მახარაძე. თუმც გუშინ ისანში იმერლები „თბილისთან" სათამაშოდ ზაურ ჩუბინიძემ გაიყვანა. მახარაძე თავისი მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად დღეს შეუდგება.

ვამბობთ, შეუდგებაო, მაგრამ ფაქტია, გუშინ შესვენებისას გასახდელიდან გამოსულ ზესტაფონელებს მეორე ტაიმში მახარაძის ხელი აშკარად დაეტყოთ, დაცვაში დალაგებულად ირჯებოდნენ და გასახდელიდან ბოლოს სწორედ მახარაძე გამოვიდა.

ბუნებრივია, კითხვაც გამიჩნდა და ნამატჩევს, მწვრთნელს კომენტარისთვის რომ მივადექი, ხელები გაასავსავა, არავითარი კომენტარი, თამაშზე უბრალოდ, ისე ვიყავი მოსულიო.

ჰოდა, პასუხიც: ბატონო თემურ, არ იცით, რომ ტყუილის თქმასაც ზოგჯერ მოხერხებულობა სჭირდება?

მოკლედ, ახლა თამაშზეც ვთქვათ, სადაც ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. თამაშზე, რომელიც ლოგიკურად სტუმრებს არ უნდა წაეგოთ, რომ არა მცველ ძამსაშვილის უიღბლობა...

„ზესტაფონმა" მაგრად იბრძოლა, მასპინძელიც გვარიანად ანერვიულა და აკი გვითხრა კიდეც „თბილისის" მწვრთნელმა, გიორგი დევდარიანმა, გადავრჩით, ისეთი თამაში მოვიგეთ, რომელიც სულ თავისუფლად შეიძლებოდა წაგვეგოო.

სტუმართაგან ნახევარმცველი გიორგი თურმანიძე გამოირჩეოდა და ორი საგოლე მომენტიც მასვე ჰქონდა, მაგრამ...

პირველად, დევაძესთან პირისპირ დარჩენილმა კარის ჩარჩოს ვერ დაუმიზნა, მეორედ საქართველოს ნაკრების მეკარე ასევე პირისპირ დარჩენილმა რომ მოატყუა, თავად არ დაარტყა, ჩინებულ პოზიციაში მყოფ ბექა ნოზაძეს ცარიელი კარის წინ დაუგორა და... ამ უკანასკნელმა როგორ გაარტყა ბურთი ძელს, მგონი, თვითონაც არ იცის.

ეს ყველაფერი 66-ე წუთზე მოხდა. ეს იყო და „თბილისიც" გამოფხიზლდა, ბრძოლა ისედაც გაჩაღებული იყო, დაძაბულობამაც იმატა.

მასპინძელი ჩქარობდა, სტუმარი დაცვაში ჩაიკეტა, თავსაც რიგიანად იცავდა და ალბათ, „ზესტაფონი" უკვე დამსახურებული ქულისთვის ემზადებოდა, როცა ზურაბ ძამსაშვილი უწყინარ ვითარებაში შეცდა: 87-ე წუთი იყო ხოჯავამ ბურთს რომ დაარტყა თავი. ტრიბუნიდან ჩანდა, რომ ის კარს სცდებოდა, ძამსაშვილმა კი ვერ გათვალა, დარტყმული კარში არ წავიდესო და ბურთს ხელი შეუშვირა. მსაჯმა ორდინიძემაც უიღბლო ფეხბურთელი სამართლიანად დაითხოვა მინდვრიდან.

აბა, ასეთი ძღვენის ვერშერგება იქნებოდა? ჰოდა, მიკუჩაძემაც პენალტი უნაკლოდ შეასრულა.

მეორე გოლი მასპინძლებმა მსაჯის დამატებულ წუთზე შეაგდეს, გიორგი ჭელიძემ და სანდრო იაშვილმა შეტევას გადაგებული სტუმრები კონტიერიშისას გამოიჭირეს და სანდრომაც „ნუგზარიჩის" პასს მშვიდი თავური შეაგება — 2:0.



სანდრო იაშვილმა ზესტაფონელებს თავისი მაინც გაუტანა

# პანიონიოსი ვისლაზე ძლიერი არაა...

**საბერძნეთის უმაღლეს, ეროვნულ ლიგაში ორი ქართველი თამაშობს — ლევან მაღრაძე „ქსანთიში" და ირაკლი ვაშაკიძე „არისში".**

**გუშინ საბერძნეთში დავურეკეთ ვაშაკიძეს და იქაური ამბების გარდა „პანიონიოს" — „დინამოზეც" დაველაპარაკეთ...**



— საბერძნეთის ჩემპიონატში სულ სამი ტურია ნათამაშები — მესამე ტურში „ერგოტელისთან" მატჩის მე-8 წუთზე შეხვედი მინდორზე...

— საქმე ისაა, რომ ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე კუნთის კაპილარი გამიწყდა და ჩემი თამაში სათუო იყო. თუმც „ერგოტელისთან" ერთ-ერთი ჩვენი მცველი დაშავდა და შეცვლაზე მაინც მომიწია თამაშმა. ახლა თავს უკვე ნორმალურად ვგრძნობ.

— მანამდე რივალდოს და ჯოვანის „ოლიმპიაკოსთან" ითამაშე მთელი 90 წუთი და 0:1 დამარცხდით...

— რივალდო მეორე ტაიმში შეცვალეს, რადგან „ოლიმპიაკოსს" ჩემპიონთა ლიგაზე „ლივერპულთან" ელოდა მატჩი, ჯოვანიმ კი სრულად ითამაშა. მათ წინააღმდეგ ხშირად მიწევდა თამაში, „არისში" ცენტრალური მცველის პოზიციაზე ვარ გამწესებული. რივალდო ისეთი აღარაა, როგორც ვთქვათ, ხუთი წლის წინ, მაგრამ მაინც მაღალ დონეზე თამაშობს.

— უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე თბილისის „დინამოს" ბერძნულ მეტოქე „პანიონიოსზე" რას იტყოდი?

— საკმაოდ კარგი გუნდია. აქ ყველა გუნდი ევროპულ ფეხბურთს თამაშობს — სწორი ტაქტიკა, კარგი ფიზიკური მომზადება და სისწრაფე. „ოლიმპიაკოსი" და „პანათინაიკოსი" დანარჩენ ბერძნულ გუნდებს ფულით და ტრადიციებით კი აღემატებიან, მაგრამ იოლი თამაშები არავისთან აქვთ, ყველას შეუძლია მათთან წარმატებით თამაში.

— „დინამოს" შანსებს „პანიონიოსთან" როგორ შეაფასებდი?

— „დინამოს" ბოლო თამაშები არ მინახავს, მაგრამ „ვისლას" მოუგო და არა მგონია, რომ „პანიონიოსი" პოლონეთის ჩემპიონზე ძლიერი იყოს. „არისში" ერთი პოლონელიც თამაშობს — მურავსკი — რომელმაც მითხრა, რომ პოლონეთში არავინ ელოდა „დინამოსთან" მარცხს და ყველანი გაოგნებულნი არიანო.

**დავით თავართქილაძე**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# ბლოხინი რინკონს ექაჩება

**უკრაინა**

**უკრაინის** ნაკრების თავკაც ოლეგ ბლოხინს ახალი იდეა გაუჩნდა — ყველანაირად ეცდება, კიევის „დინამოს" ბრაზილიელ ნახევარმცველ დიოგო რინკონს უკრაინის მოქალაქეობა მიაღებინოს.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც უკრაინის ჩემპიონატში მოთამაშე ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესებაზე ალაპარაკდნენ. მაშინვე გაკვრით ითქვა, რინკონი მოქალაქეობას შეიცვლისო. ბლოხინმაც ხელები გაშალა და ბრაზილიელის უკრაინის ნაკრებში მიწვევას დაჰპირდა.

— თუკი ჩვენთან ლეგიონერებზე მართლა დააწესებენ ლიმიტს, მაშინ ბევრი უცხოელი ეცდება მოქალაქეობის შეცვლას. ზუსტად არ ვიცი, რას აპირებს დიოგო რინკონი, მაგრამ ფაქტია, მისნაირ მაღალი კლასის ფეხბურთელზე უარს ვერ ვიტყვი — განაცხადა ბლოხინმა.



ცნობისათვის, უკრაინელებს ერთი ნატურალიზებული ფეხბურთელი უკვე ჰყავთ: ბელარუსში დაბადებულ-გაზრდილი და კიევის „დინამოში" მოთამაშე არტიომ მილევსკის მოქალაქეობის შეცვლას ფიფაუეფას და სასამართლოების ჩარევაც კი დასჭირდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ 9 და 13 ოქტომბერს უკრაინას 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ორი საშინაო მატჩი ელის საბერძნეთთან და საქართველოსთან.

**ბაჩა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავიდ ტრეზეგემ ფსიქოთერაპია აირჩია



**ცნობილმა** ფორვარდმა თქვა, რომ ოპერაციას ჯერ არ გაიკეთებს. მოგეხსენებათ, ტურინის „იუვენტუსისა“ და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელს მხრის პრობლემა აქვს, ამიტომაც კლუბმა არჩევანი ანდო — ან ოპერაცია, ოთხი თვით ფეხბურთს ჩამოშორება და მერე უპრობლემო თამაში ან თამაში მხრის ამოვარდნის მუდმივი რისკით და შიგადაშიგ ამოვარდნით.

„იუვენტუსის“ მთავარი ექიმი რიკარდო აგრიკოლა: „ტრეზეგეს კატეგორიული კი ან არა ჯერ არ ვათქმევინეთ, ის ჯერ ფსიქოთერაპიის კურსს გაივლის და სიტუაციას მერე გადახედავს“.

ოპერაციის გადადება, როგორც ჩანს, საკუთრივ კლუბსაც აძლევს ხელს, რადგან უფრო მშვიდად მიუდგება სატრანსფერო ბაზარს, სადაც „ჩელსიში“ აჯანყებული რუმინელი ადრიან მუტუ გამოჩნდა.

და ბარემ, რადგან სატრანსფერო ბაზარს მივადექით, ვთქვათ ასეთი ჭორიც: ამბობენ, რომ იანვარში, როდესაც ამ ბაზრის კარი გაიღება, ტურინელები მადრიდის „რეალის“ დახლთან მივლენ და ფერნანდო მორიენტესს იყიდიან. თუ გახსოვთ, ამ ესპანელ თავდამსხმელს და „იუვეს“ ერთ წინადადებაში ჯერ კიდევ მაშინ აქცევდნენ, როდესაც მორიენტესი „მონაკოში“ თამაშობდა და მისი „რეალში“ დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი წყდებოდა.

კიდევ ერთი ოპერაციის ამბავი კი რომიდან მოისმა — „იუვენტუსის“ ყოფილი მეკარე, დღეს „ლაციოს“ კარის დარაჯი ანჯელო პერუცი ერთი თვით არ ითამაშებს, რადგან მუხლის ოპერაციას იკეთებს. სანამ პერუცი მკურნალობს, რომაელთა კარს სათადარიგო მატეო სერენი დაიცავს.

**ბაბუნა ძიდია**



მარკ ჰიუზი

# უელსი ინგლისის წინ

**ეს ორი** შესარჩევი თამაშიც და მარკ ჰიუზი, განთქმული „სპარკი“. ვის ხელშიაც უელსის ნაკრები ათამაშდა და ბევრი აალაპაკარა, ეროვნული გუნდის მენეჯერი აღარ იქნება. „ბლექბერნში“ დანიშნულ ჰიუზს ორ სკამზე ჯდომა არც სურს და არც შეუძლია, უელსელებმა კი ახალი თავკაცი უნდა მოძებნონ, ისეთი, ვინც „სპარკის“ მიერ შემოდებულ თამასას დაბლა დაწევას არ დაუპირებს.

ამბობენ, რომ ასეთად ამჟამად „ბოლტონში“ მოთამაშე, მრავალნაცად, გარი სპიდი იქნება. ამის შესახებ ორიოდ დღის წინ პირდაპირ მოანიშნა უელსის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ბრაიან ფლინმა. სპიდი ახლა ნაკრებსაც კაპიტნობს და ასაკით 35 წლისაა, ისა და ფლინი კარგი მეგობრები არიან და ერთ-ორ სანაკრებო წყვილს მოწონებით უცქერს ბარაქათი უელსელი რობი სევიჯიც, თუმცა, „ბოლტონელებს“ გავრცელებული ხმა დიდად არ მოსწონებიათ.

„გარი ნაცადი მოთამაშეა, მაგრამ მგონია, რომ თავისი გამოცდილების მენეჯერობაში პირდაპირ გადატანა გაუჭირდება. ნაკრებს, ჯობია ჯერ კლუბი სცადოს“, ასე თქვა: „ბალტონის“ თანაშემწე მწვრთნელმა ფილ ბრაუნმა.

თავად გარის, ჟურნალისტებთან საუბრისას თავისი შესაძლებლობა არც უხსენებია, ის კი ჭკვიანურად თქვა, „სპარკის“ შემდეგ მოსულმა ახალმა ბოსმა აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს ის დიდებული იმპულსი მან რომ მიანიჭა გუნდსო.

ჰიუზს კი მძიმე თამაში ელის შაბათს „ოლდ ტრეფორთზე“ ინგლისის წინაამდეგ. სიმძიმეს ისიც ერთვის, რომ უელსელთა გუნდში ტრავმირებულთა სია იზრდება. ჰიუზმა შინ გაუშვა თავდამსხმელი გარეთ ტეილორი და ნახევარმცველი ენდი ჯონსონი, ტრავმიანებს ტყუილად არ მოგაცდენიაო, არადა, ორივე სასტარტოში იგულისხმებოდა. გუნდს ისედაც არ ეყოლება რობ პეიჯი და რის ვესტანი, ხოლო ჯეისონ კუმასი ნაკრებში კია, მაგრამ ვარჯიშზე არ გამოდის. ამის გამო ჰიუზს დიდი და იძულებითი გადანაცვლებები უწევს. რობი სევიჯი დისკვალიფიკაციის გამო არ იქნება, მეკარე პოლ ჯონსი კი შაბათს „ვულვზმ“ სასტარტოში არ დააყენა და ამით ნაკრების მენეჯერიც ჩააფიქრა. მისი შემცვლელად ბხოლოდ „ბარნლის“ დენი და რალა მეკარე? თავიანთი საკლუბო მატჩები შაბათს არც კუმასს, არც ხონ ოსტერს და არც რობ სევიჯი არ უთამაშიათ.

ჰიუზის მთავარი იმდები ცხადია კრეიგ ბელამი და რაიან გიგზი გახლავან. როგორც რობი სევიჯმა თქვა: „ოლდ ტრეფორდი“ ხომ მშობლიური სტადიონია უელსის საუკეთესო ფეხბურთელისთვის.

**ირაკლი გამყრელიძე**



კრეიგ ბელამი

# გოლს ველოდები!

## ჯილარდინომ ჯილარდინო ბარო

„**პარმას**“ სახე და იტალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ალბერტო ჯილარდინო ამბობს, რომ ცოტაც და ძველებურად დაიწყებს გოლის გოლზე გატანას. პრობლემა ის არის, რომ 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონს ჯერჯერობით ამ სეზონში მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი.

„ამის გამო საერთოდ არ ვნერვიულობ — ამბობს გასულ სეზონში 23 გოლის ავტორი — თავდამსხმელებს აქვთ ხოლმე ამდაგვარი პერიოდები, როდესაც ვერა და ვერ ახერხებენ ბურთის კარში შეგდებას. მშვიდად განვაგრძობ დაუღალავ მუშაობას და ვატყობ, რომ ფიზიკურად ვძლიერდები, რაც მამშვიდებს და გარანტიას მაძლევს, რომ ისეთივე ფეხბურთელი გავხდები, როგორიც შარშან ვიყავი“.

იტალიურ პრესას ბუნებრივია ჯილარდინოს წაფორხილება არ გამოჰპარვია და მის ნაკლებგოლიანობაზე ამიტომაც გაამახვილა ყურადღება.

„რამდენიმე თვის წინ ლამის მხსნელად და მესიად მაცხადებდნენ, ახლა კი ნორმალური დონის ფეხბურთელი ვარ. ბევრი მეუბნება, რომ დაღლილი ვარ, მაგრამ მარტო მე ხომ არ ვარ ასე. მთლიანად გუნდს, „პარმას“ მოუწია ცუდმა სტარტმა. საერთოდ კი, ვიმეორებ, დიდი იმედი მაქვს, რომ შარშანდელი სეზონის გამეორებას შევძლებ“

დღეს ჯილარდინო ნაკრებშია გამოძახებული და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ორი მოახლოებული თამაშიდან (სლოვენიასა და ბელარუსთან) მეორესთვის ამზადებენ.

„ბედნიერი ვიქნები „ტარდინიზე“ თუ მათამაშებენ და ჩემი, პარმელი ქომაგების წინაშე გავიტან გოლს. ისე კი, რა თქმა უნდა, ვითამაშებ თუ არა, მწვრთნელის გადასაწყვეტია და მის ნებისმიერ ქმედებას მშვიდად შევხვდები“.

**ბაბუნა ძიდია**



ალბერტო ჯილარდინო

# დიდებმა პატარები დაჩაგრეს

## ფრანჩესკომ უნდა დაივიწყოს და გაიხსენებენ





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ფრანჩესკო ტოტია: მარჩელო ლიპიმ ტოტის ტოტობა აღიარა

**მარჩელო ლიპი** აცხადებს, რომ იტალიის და სლოვენიის მატჩის შემდეგ ევროპას ფრანჩესკო ტოტისკენ მოუბრუნდება გული. როგორც ჩანს, „სკუადრა აძურას“ თავკაცი ასე ეხმაურება იმ ამბავს, რომ ფიფამ „რომას“ კაპიტანი წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად შედგენილ 35 კაციან შორთ-ლისტში არ შეიყვანა.

„ტოტიმ ევრო 2004-ზე შემთხვეული უნდა დაივიწყოს — მიუგო ტაქტიკოსმა ჟურნალისტებს — ის იტალიის დღევანდელი ნაკრების წევრია და ენთუზიაზმითაც არის სავსე. ამასთან, არ მინდა ხმაურიანი განცხადება გამომივიდეს, მაგრამ ვფიქრობ აქ ფეხბურთზე მეტად მისადმი ანტიპათიაა საქმეში ჩარეული და ეს ყველაფერი პორტუგალიაში მომხდარს უკავშირდება.“

შეგახსენებთ, რომ საუბარია ევრო 2004-ზე, იტალია-დანიის შეხვედრაში მომხდარ ინციდენტზე, როდესაც ტოტიმ კრისტიან პოულსენს შეაფურთხა, რისთვისაც სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

რაც შეეხება ცნობებს იტალიელთა საწვრთნელო ბანაკიდან, „სკუადრა აძურამ“ 18 წლამდელ თანამემამულეებს 5:2 მოუგო. ამ შეხვედრაში ზემოხსენებულმა ტოტიმ ერთი გოლი თავად გაიტანა და ერთიც ლუკა ტონის გაატანინა.

„ფრანჩესკოს თამაშის უშეცდომო სტილი აქვს — გაიღიმა ლიპიმ — მე ტოტი მჭირდება იმ პოზიციაზე, რომელიც მისთვის ყველაზე მოხერხებულად მიმაჩნია. ეს გახლავთ ცენტრფორვარდზე ოდნავ უკანა პოზიცია, რაც მას საშუალებას მისცემს საკუთარი შეხედულებისამებრ ხან უკან ჩაირბინოს ბურთის მისაღებად და ხან, წინ წავიდეს მეტოქის კარისკენ“.

იტალიელთა საწვრთნელი ცენტრიდან გამოსული ცნობების თანახმად თვრამეტწლამდელებთან შეხვედრაში მწვრთნელმა არ ათამაშა ჯენარო გატუზო, ალესანდრო ნესტა და ჯანლუკა ძამბროტა, თუმცა ამბობენ, რომ ეს ტრიო სლოვენიის წინაალმდეგ აუცილებლად იქნება.

„ეს სამეული იმიტომ დავასვენე, რომ ვფიქრობ, ბოლო პერიოდში ყველაზე მეტად სწორედ ძამბროტა, ნესტა და გატუზო არიან დატვირთულნი. საშაბათოდ შეგულებული თერთმეტი კაცის დასახელება ჯერ ნამდვილად არ მინდა, ვფიქრობ, ყველას უნდა ჰქონდეს შემადგენლობაში მოხვედრის იმედი და მოლოდინი, მაგრამ ის მოთამაშეები, რომლებიც თვრამეტწლამდელებთან პირველ ტაიმში გავიყვანე მოედანზე, უფრო ახლოს არიან სასტარტო შემადგენლობასთან“ — ბრძანა მწვრთნელმა, რომელმაც პირველ ტაიმში ასეთი შემადგენლობა ათამაშა: ბუფონი — ბონერა, მატერაცი, კანავარო, პანკარო — კამორანეზი, დე როსი, ბლაზი, ესპოზიტო — ტოტი, ტონი.

„კალიარის“ მოთამაშემ, მარკო ესპოზიტომ ორი საგოლე მომენტი გაუშვა ხელიდან და ზოგადად ეტყობოდა, რომ ეროვნულ გუნდში მინი-დებიუტის გამო ღელავდა.

„ამხანაგური ტესტი კი იყო, მაგრამ მის დაწყებამდე ესპოზიტო მაინც გავამხნევე, თუმც როგორც მერე გამოჩნდა, ის მაინც ნერვიულობდა“ — თქვა ლიპიმ.

კიდევ ერთი ახალგაზრდა, ოღონდ არც მთლად დებიუტანტი, გახლდათ დანიელე დე როსი, რომელიც „იუვენტუსის“ ყოფილმა თავკაცმა ძალიან შეაქო.

„დე როსი ნორმაზე აშკარად უკეთ არის მომზადებული. მან კარგად იცის, როგორ დაიწყოს შეტევა და როგორ დააგვირგვინოს“.

და ბოლოს, მარჩელო ლიპიმ ტაქტიკურ სქემაზე ილაპარაკა:

„დაახლოებით ერთნაირი სამი სისტემა მიტრიალებს გონებაში. ეს არის, 4-4-2, 4-4-1-1 და 4-2-3-1, თუმცა ტაქტიკა იმდენად მნიშვნელოვანი არ მგონია, რამდენადაც ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობა. მინდა ისინი ისევე იყვნენ განწყობილნი, როგორც ჩვენი პირველი ორი შესარჩევი მატჩის დროს“.

**პაპუნა ძიძია**



# დესაის უფლება აქვს

## ბარსელონა უგუნდო მარსელს ელაპარაკება

**წლეულს** ჩინებულად მოთამაშე ესპანურ „ბარსელონას“ წამყვან ფეხბურთელთა ტრავმებმა დარია ხელი. ამიტომაც არაა გასაკვირი, თუ რატომ ეშურება ფრანკ რაიკარდი ახალი მოთამაშეების შეძენას, ანუ შემადგენლობის გაძლიერებას.

კლუბის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ მწვრთნელთან შეთანხმებით, არც მეტი, არც ნაკლები ლონდონური „ჩელსის“ ყოფილ ლეგიონერს, ვეტერან ფრანგ მარსელ დესაის დაადგა თვალი.

„არისტოკრატთა“ ძველი მოთამაშე ამჟამად უგუნდოდაა და სრული უფლება აქვს, იანვარს, ანუ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნას არ დაელოდოს და კატალონიაში ჩავიდეს. მიუხედავად ასაკისა — დესაი 36 წლის გახლავთ — ზოგიერთი ბარსელონური გაზეთი ფრანგი ფეხბურთელის აუცილებლობაზე საკმაოდ სერიოზულად საუბრობს.

**ლადო ხომერიკი**

# ფლორენტინო პერესმა შეცდომა აღიარა

## საყრდენი, გვინდა, საყრდენი!

**მადრიდის** „რეალი“ არგენტინული „რივერ პლეიტის“ ნახევარმცველ ხავიერ მასკერანოთი დაინტერესდა და სავარაუდოდ, იანვარშივე მოირგებს „სამეფო კლუბის“ მაისურას.

მადრიდელებს თურმე მასკერანოზე ნადირობა დიდი ხანია დაწყებული აქვთ, თუმც მხოლოდ ახლაღა გაამხილეს. პერესის ხალხი არგენტინულ კლუბს ჯერ კიდევ შარშან დაუკავშირდა, თუმც იქაურებმა სენიორ ფლორენტინოს შეთავაზებული თანხა მაშინ იცოტავეს და არგენტინული ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმაც მშობლიურ „რივერში“ გააგრძელა ბურთაობა.

„რეალის“ პრობლემა გეცოდინებათ რაც არის, „სამეფო კლუბს“ კლოდ მაკელელს გუნდიდან გაშვების მერე, კვალიფიციური საყრდენი, ანუ მუშა ნახევარმცველი არ ჰყავს და მადრიდელებიც ახლა მიხვდნენ, რომ მოედნის შუაგულში შერყეული პოზიციების განმტკიცება საჭირო. საამისოდ კი სწორედ მასკერანოს შეძენა ითვლება. ხავიერს ევროპული პასპორტი აქვს და მისი ფასიც უსაშველოდ დიდი არის — სულ რაღაც 10 მილიონი ევრო.

მასკერანო კი უნდათ, მაგრამ „რეალს“ კონკურენტებიც გამოუჩნდნენ: „ბარსელონა“ და მიუნხენის „ბაიერნი“. თუმცა ესპანური „მარკას“ მტკიცებით, მადრიდელთა სპორტულ დირექტორ ემილიო ბუტრაგენიოს, „რივერ პლეიტისა“ და მასკერანოს წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს.

**ლადო ხომერიკი**



ხავიერ მასკერანოს ევროპის ბობოლა კლუბებმა თვალი დაადგეს

# მე ხომ გორდონ სტრაჩანი ვარ!



*პრემიერლიგა ისევ გახურდა, ისევ აგვიჭრელა თვალები და ისევ მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. ეს უკვე ტრადიციაა, თუმცა... თურმე ნუ იტყვით და, ვის ვის და გორდონ სტრაჩანს გასული სეზონის შემყურეს ძალიან მოუწყენია, ხოლო თუ რატომ, ამას ქვემოთ, ინტერვიუდან შეიტყობთ.*

*ჩვენ მხოლოდ ერთს შევახსენებთ: გორდონ სტრაჩანი ლეგენდარული შოტლანდიელი ფეხბურთელი, შოტლანდიისა და ინგლისის მრავალ კლუბში ნათამაშევი ვარსკვლავი და შემდგომში გონიერი მწვრთნელი გახლავთ*

— რას გვეტყვით თანამედროვე ფეხბურთზე ზოგადად?

— დღევანდელი ფეხბურთელები ძალიან განსხვავდებიან იმ ადამიანებისგან, რომელთაც ჩემს დროში ვხვდებოდი და ვეთამაშებოდი. მახსოვს, წლების წინ ხალხი ამბობდა, დააკვირდით გარი ლინეკერს, ის ძალიან სწრაფია. დღეს გარი მეთხუთმეტე ადგილზეც ვერ იქნებოდა. მოკლედ, ფეხბურთი ძალიან განვითარდა. ჩემი თაობის მოთამაშეები დღევანდელებთან შედარებით გაცილებით ორდინალურები იყვნენ და მათთან თანაარსებობა ძალიან გაუჭირდებოდათ.

— არსენ ვენგერზე რაღას გვეტყოდით?

— არსენ ვენგერმა საკუთარი წარმოების ათლეტებით (და იმავდროულად მოთამაშეებით) ფეხბურთი სხვა სიმაღლეზე აიყვანა. მან თამაშს სახე უცვალა და ის სამუშაო, რომელიც თავის ხალხთან ერთად თავის დროზე საფრანგეთში გასწია, ფართო გამოყენებისა გახადა. მახსოვს, როდესაც მათ ჩემი გუნდით ვეთამაშებოდი, ისინი ჩვენთან შედარებით გოლიათებად ჩანდნენ, არადა წლების წინ ასეთი ბიჭები გამოუსადეგარნი იყვნენ. დიახ, ტიერი ანრი ფენომენალური ფეხბურთელია, ის მოცეკვავეა, ათლეტური მოცეკვავე წარმოუდგენელი ხედვით. ეს აბსოლუტურად განსხვავდება იმისგან, რასაც 20 წლის წინ ვაკეთებდით და ვუყურებდით.

— მაგრამ ბოლო სეზონი არ მოგეწონათ. რატომ?

— ხუმრობად ნუ ჩამომართმევთ და გასული სეზონი „არსენალის“ გაჩემპიონების პროცესი იყო და მეტი არაფერი. შეჯიბრება არ ყოფილა, ამიტომაც გახლდათ მოსაწყენი სანახაობა. ერთ გადამწყვეტ მატჩსაც ვერ გავიხსენებ. ერთი შეხვედრის წინ არ გვითქვამს, რომ ყველაფერი იმ დღეს გაირკვეოდა. მოკლედ, არსენალი“ ბატონობდა და სულ ეს იყო.

— მაგრამ ბევრ ადამიანსაც რომ მიანიჭა საკუთრივ „არსენალის“ თამაშმა?

— კი ბატონო, „არსენალს“ ვაფასებ და ტაშსაც ვუკრავ, მაგრამ ამის მეტი, რომ არაფერი ყოფილა? „არსენალი“ ბატონობდა სექტემბერშიც და „არსენალი“ ბატონობდა აპრილშიც. ვფიქრობდი, რომ რაღაც მომენტში საქმეში „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ჩელსი“ ჩაერეოდნენ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა და ამან ჩემპიონატი მოკლა. ამაღელვებელი საერთოდ არაფერი ყოფილა. ყველაფერი შოტლანდიის ჩემპიონატს ჰგავდა, სადაც ჩვენ ვფიქრობდით, აი, ისევ მოვედით და მოვიგებთ. ასეთი რამ „არსენალის“ ფანების მეტს არავის მოეწონებოდა. ფეხბურთი ხომ შეჯიბრებით ფასობს და ყველაფერზე კარგი შეჯიბრების ცქერაა.

— გამოდის, ახლა ტრიუმფს მოწყურებულ სერ ალექს ფერგიუსონს უნდა ველოდით?

— ფერგიუსონი აშკარად მზად არის გამოწვევაზე პასუხისთვის. მისი თვალები ტელევიზორში ვნახე და ეს აკშარად შევამჩნიე. ყოველთვის, როდესაც ვინმე სჯობნის ის შეურაცხყოფილია. დამიჯერეთ, სხვა ჯიშის მხეცია, სხვათაგან განსხვავებული, კარგად ვიცი მისი ბუნება. ფერგიუსონს შეუძლია იდგეს და თქვენი ყველა დარტყმა აიტანოს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად იძიებს შურს. ვიცი, ის ძალიან თავისებური კაცია.

— ერთი სიტყვით, ამ სეზონში მეტ კონკურენციას უნდა ველოდოთ?

— დიახ, მაქვს ასეთი წინათგრძნობა, თან მხოლოდ „იუნაიტედს“ არ ვგულისხობ. „ჩელსიმ“ ხომ უამრავი თანხა დახარჯა გასულ ზაფხულს და ჟოზე მაურინიუც არ გადაუყვანია ტყუილად. „ლივერპულის“ ახალ მწვრთნელზე, რაფაელ ბენიტესზე ბევრი მართლა არ მსმენია, მაგრამ ვგრძნობ, რომ ორომტრიალში ეს გუნდიც მიიღებს მონაწილეობას. აშკარაა, ჩემპიონობისთვის კონკურენცია გაიზრდება.

— და თქვენ აღარ უნდა დაუბრუნდეთ საფეხბურთო ცხოვრებას?

— ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. მე მსოფლიოს წრეები შემოვუარე, რათა რაიმე ახალი მესწავლა და იმ შემთხვევაში თუ დამაბრუნებენ, გამომეყენებინა. თუ ვინმეს დავჭირდები, ხომ კარგი, თუ არა და სხვებს ვუამბობ ამ ყველაფერს. ვიცი, რასაც ახლა ვამბობ უცნაურად ჟღერს, რადგან ხალხმა იცის, რომ გორდონ სტრაჩანი ვარ და უფეხბურთოდ ცხოვრება არ შემიძლია, მაგრამ გავარკვიე, რომ ძალიან კარგადაც შემიძლია უფეხბურთოდ ცხოვრება. თუმცა ეს ყოველთვისაც ვიცოდი. თავის დროზე თამაშს დავანებე თავი და მწამს არც მწვრთნელობის გარეშე დავიღუპები. ისე კი, როდესაც გუნდს ვწვრთნი დიდ სიამოვნებას ვიღებ. მოკლედ, რაღაცის წყურვილს და სიყვარულს შორის განსხვავებაა. მე მიყვარს ფეხბურთში მუშაობა, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მის გარეშე არ ვგიჟდები.

— „საუთჰემპტონში“ მისვლიდან რამდენ ხანში მიხვდით, რომ დასვენება გჭირდებოდათ?

— მე და ჩემს ოჯახს დასვენება რომ გვჭირდებოდა ამას ერთ თვეში მივხვდი. ფეხბურთში 32 წელიწადი ვიტრიალე, და აქედან 30 წლის განმავლობაში მეუღლე ჩემთან იყო. მოკლედ, ჯიბეში ერთიორი კაპიკის ჩადება და უბრალოდ გასეირნება ძალიან სასიამოვნო რამ გამოდგა. მახსოვს, ცოლი მაშინაც გვერდით მედგა, როდესაც ჯიბეში 45 გირვანქაც კი არ მედო და წარმოიდგინეთ, დღეს არ ვმუშაობ, ის კი მაინც ხარჯავს... მოკლედ, მალე ისევ აღარ მექნება 45 გირვანქა.



გორდონ სტრაჩანი თავისუფალ დროსაც ფეხბურთში ჰკლავს



ხოსე რეიესს ლუის არაგონესმა შეუბღვირა

# იყო უწყინარი, ყოფილა სერიოზული

## არაგონესმა ზანგები, ზანგებიაო

**ესპანეთის** ეროვნული გუნდის მწვრთნელი ლუის არაგონესი მორიგ სკანდალში გაეხვა. ფიცხი „ელ საბიო“, რომელიც საკუთარი შეგირდების მიმართ „მამაშვილური“ გრძნობების აშკარად გამოხატვას არ ერიდება (ადრე „ვალენსიაში“ და „მალიორკაში“ მუშაობისას რომარიო და სამუელ ეტოო კინაღამ შემოელახა), ბრიტანული მედია რასიზმში ადანაშაულებს...

მოკლედ, ახლახან არაგონესის ერთმა დაუფიქრებელმა ნათქვამმა გამოიწვია ის, რომ გუშინწინ, მორიგი სანაკრებო ვარჯიშის დროს „ელ საბიომ“ ლონდონის „არსენალის“ ლეგიონერი ხოსე ანტონიო რეიესი მიიხმო თავისთან და იქ მყოფი ფეხბურთელებისა თუ ჟურნალისტების გასაგონად მთელი ხმით დაუყვირა: „ხოსე, იმ შენს ზანგს უთხარი, რომ მასზე ასი თავით უკეთესი ხარ! მიმიფურთხებია იმ შავკანიანისთვის. სრული უფლება გაქვს, პირდაპირ განუცხადო — მე შენზე კარგად ვთამაშობ!“

ალბათ, მიხვდით, ლაპარაკი „მეთოფეთა“ ფრანგ ტიერი ანრიზეა. ჰოდა, ფრანგულ-ინგლისურმა პრესამაც არ დაახანა და ლუის არაგონესს უმალ რასისტის იარლიყი მიაწება.

თავად მწვრთნელი კი ზანგების მიმართ თავის ანტიპათიას კატეგორიულად უარყოფს. „რასისტი არ ვარ, პირიქით, თავს მსოფლიოს მოქალაქედ ვთვლი. უამრავი შავკანიანი მეგობარი მყავს და არა მგონია, მათ ჩემი ხუმრობით ნათქვამი გულთან მიეტანოთ. რეიესს ასე იმიტომ ვუთხარი, რომ გამხნევებულიყო და ბელგიასთან მომავალ მატჩში უკეთესად ეთამაშა“ — მოიბოდიშასავით არაგონესმა „რადიო მარკასთან“ ინტერვიუში.

თავად რეიესმა კი თქვა: „ძალიან გთხოვთ, იმ სიტყვებს სერიოზულად ნუ აღიქვამთ, მწვრთნელი მხოლოდ გამეხუმრა და ეს იყო“.

**ლადო ხომერიკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. I ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.45 | 101 | ლუტონი-ჰარტლპული | 1,6 | 3,5 | 5,6 | 1,09 | 1,24 | 2,15 |
| 23.45 | 105 | ბორნმუთი-სტოკპორტი | 1,6 | 3,5 | 5,6 | 1,09 | 1,24 | 2,15 |
| 23.45 | 106 | დონსი-ბრედფორდი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 23.45 | 107 | პორტ ვეილი-დონკასტერი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.00 | 102 | ბარნსლი-ბრენტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 16.00 | 103 | ტორკი-ჰადერსფილდი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 16.00 | 104 | უოლსოლი-კოლჩესტერი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.15 | 108 | ჰალი-ჩესტერფილდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 109 | ოლდემი-ბლეკპული | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 17.00 | 110 | სუინდონი-უენსდი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |

### ინგლისი. II ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.45 | 111 | ჩელტენემი-ჩესტერი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 22.45 | 112 | ნორთჰემპტონი-გრიმსბი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 22.45 | 113 | როჩდეილი-იოვილი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 22.45 | 114 | შრიუსბერი-რაშდენი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 22.45 | 115 | საუთენდი-ბოსტონი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 22.45 | 116 | სუონსი-მენსფილდი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 23.00 | 117 | სკანთორპი-უიკომბი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 118 | კემბრიჯი-როვერსი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 16.00 | 119 | ლეიტონი-ბერი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 16.00 | 120 | ლინკოლნი-კიდერმინსტერი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 121 | მაკლსფილდი-ნოტსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 122 | ოქსფორდი-დარლინგტონი | 1,8 | 3,2 | 2,8 | 1,15 | 1,09 | 1,49 |

### ინგლისი. კონფერენსი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.45 | 133 | უოკინგი-ჰალიფაქსი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.00 | 134 | ქროული-ნორთვიჩი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 16.00 | 135 | ექსეტერი-კარლაილი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 16.00 | 136 | ფარნბორო-იორკი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 16.00 | 137 | ბარნეტი-დაგ ენდ რედი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 16.00 | 138 | მორიკომბი-ტემუოთი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 16.00 | 139 | სკარბორო-ალდერშოტი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 140 | ბარტონი-გრეივსენდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 141 | კონვი-ფორესტ გრინი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 18.00 | 142 | ლეი-სტივენეიჯი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.45 | 143 | აკრინგტონი-ჰერეფორდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 145 | ბრაუნშვაიგი-კილი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 146 | ლიუბეკი-ზტ.პაული | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 16.00 | 147 | დორტმუნდი(მ)-პადერბორნი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 16.00 | 148 | ვერდერი(მ)-ოსნაბრიუკი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 16.00 | 149 | ქემნიცი-ჰამბურგი(მ) | 3,0 | 3,2 | 2,15 | 1,54 | 1,25 | 1,28 |
| 16.00 | 150 | ურდინგენი-ჰერტა(მ) | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2.1 |
| 16.00 | 151 | ვოლფსბურგი(მ)-ვუპერტალი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 16.00 | 152 | მიუნსტერი-კიოლნი(მ) | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 153 | ელვერსბერგი-მაინცი(მ) | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 21.00 | 154 | ფულენდორფი-მიუნხენი(მ) | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,28 | 1,23 | 1,57 |
| 21.30 | 155 | ზიგენი-კიკერსი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 21.30 | 156 | დარმშტადი-ფოიხტი | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2.02 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.30 | 157 | ჰოფენჰაიმი-რეგენსბურგი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 16.30 | 158 | აუგსბურგი-ვეენი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 16.30 | 159 | აალენი-კობლენცი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 160 | ბაიერნი(მ)-ნოტინგენი | 1,3 | 4,4 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,77 |
| 17.00 | 161 | შტუტგარტი(მ)-ოფენბახი | 2,7 | 3,3 | 2,25 | 1,48 | 1,22 | 1,33 |

### ესპანეთი. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 208 | სელტა-ფეროლი | 1,9 | 2,7 | 4,6 | 1,11 | 1,34 | 1,7 |
| 20.30 | 209 | ლეიდა-ელჩე | 2,15 | 2,7 | 3,6 | 1,19 | 1,34 | 1,54 |
| 20.30 | 210 | უელვა-მალაგა ბ | 1,8 | 2,7 | 5,0 | 1,08 | 1,32 | 1,75 |
| 21.30 | 211 | ეიბარი-ვალიადოლიდი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 212 | ალავესი-პონტევედრა | 1,85 | 2,7 | 4,8 | 1,09 | 1,33 | 1,72 |
| 19.00 | 213 | სპორტინგი-სალამანკა | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 19.00 | 214 | ტარაგონა-ეხიდო | 2,6 | 2,6 | 2,9 | 1,3 | 1,37 | 1.37 |
| 19.00 | 215 | ტერასა-სიუდადი | 1,7 | 2,9 | 5,6 | 1,07 | 1,3 | 1,91 |
| 20.00 | 216 | ალმერია-კორდობა | 2,05 | 2,7 | 4,0 | 1,16 | 1,35 | 1,61 |
| 21.00 | 217 | მურსია-კადისი | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 22.30 | 218 | სერესი-ტენერიფე | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |

### მჩ. შესარჩევი მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 027 | ფინეთი-სომხეთი | 1,2 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,57 |
| 18.00 | 028 | შოტლანდია-ნორვეგია | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 18.00 | 029 | ინგლისი-უელსი | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 19.00 | 030 | შვედეთი-უნგრეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 19.00 | 031 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 19.00 | 032 | ლუქსემბურგი-რუსეთი | 25,0 | 7,0 | 1,05 | 5,46 | 1 | 1 |
| 19.00 | 033 | ბელარუსი-მოლდოვა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 19.30 | 034 | სლოვაკეთი-ლატვია | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 035 | კვიპროსი-ფარერები | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 20.00 | 036 | მალტა-ისლანდია | 8,0 | 4,2 | 1,4 | 2,75 | 1,19 | 1,04 |
| 20.15 | 037 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 038 | აზერბაიჯანი-ჩრდ.ირლანდია | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 21.00 | 039 | ისრაელი-შვეიცარია | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 21.00 | 040 | ალბანეთი-დანია | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 21.00 | 041 | თურქეთი-ყაზახეთი | 1,07 | 7,0 | 17,0 | 1 | 1 | 4,95 |
| 21.15 | 042 | ლიხტენშტაინი-პორტუგალია | 40,0 | 10,0 | 1,01 | 8 | 1 | 1 |
| 22.00 | 043 | არგენტინა-ურუგვაი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 22.15 | 044 | ხორვატია-ბულგარეთი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.15 | 045 | ბოსნია-სერბია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.30 | 046 | ავსტრია-პოლონეთი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 22.30 | 047 | მაკედონია-ჰოლანდია | 8,0 | 4,6 | 1,3 | 2,92 | 1,11 | 1,01 |
| 23.00 | 048 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 23.00 | 049 | სლოვენია-იტალია | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 23.45 | 050 | ესპანეთი-ბელგია | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 24.00 | 051 | ბოლივია-პერუ | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 02.10 | 052 | კოლუმბია-პარაგვაი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 05.00 | 053 | ვენესუელა-ბრაზილია | 7,0 | 3,6 | 1,45 | 2,37 | 1,2 | 1,03 |

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.05 | 054 | ეკვადორი-ჩილე | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |

### შვეიცარია. ჩელენჯლიგა

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 302 | 21:30 | ბადენი-ვინტერთური | 2.8 | 3.2 | 2.2 | 1.49 | 1.23 | 1.3 |

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 303 | 18:30 | ვილი-იუვენტუსი | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 304 | 19:30 | ვოლენი-შო დე ფონი | 1.65 | 3.2 | 4.6 | 1.08 | 1.21 | 1.88 |
| 305 | 21:30 | ბულე-მეირინი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |
| 306 | 21:30 | ლუცერნი-ივერდონი | 2.2 | 3.1 | 2.9 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 307 | 21:30 | ბელინცონა-კრინსი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 308 | 16:30 | კონკორდია-ლუგანო | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 309 | 16:30 | ბოლმი-კიასო | 2.9 | 3.2 | 2.1 | 1.52 | 1.21 | 1.26 |

### ბელგია. მეორე დივიზიონი

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 311 | 21:30 | გეელი-ვიზეტი | 1.5 | 3.5 | 5.6 | 1.04 | 1.18 | 2.15 |
| 312 | 22:00 | ვაასლანდი-ტუბეკე | 2.4 | 3.1 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 313 | 22:00 | დაინცე-დესელი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 442 | 22:00 | ვირტონი-კორტრაიკი | 1.55 | 3.4 | 5.2 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 443 | 22:00 | ანტვერპენი-ეუპენი | 1.4 | 3.6 | 6.5 | 1.0 | 1.15 | 2.31 |

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 444 | 17:00 | ვარეგემი-ვიგორი | 1.4 | 3.6 | 6.5 | 1.0 | 1.15 | 2.31 |
| 317 | 17:00 | აალსტი-რონსე | 2.3 | 3.1 | 2.6 | 1.32 | 1.22 | 1.41 |
| 318 | 17:00 | რუზელარე-ჰეუსდენი | 2.3 | 3.1 | 2.6 | 1.32 | 1.22 | 1.41 |
| 319 | 17:00 | სტ.ტილი-პატრო | 2.2 | 3.2 | 2.65 | 1.3 | 1.2 | 1.44 |

### ჰოლანდია. მეორე დივიზიონი

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 321 | 22:00 | ემენი-აპელდორნი | 2.0 | 3.4 | 3.0 | 1.25 | 1.2 | 1.59 |
| 323 | 22:00 | ჰელმონდი-იგლსი | 1.95 | 3.4 | 3.2 | 1.23 | 1.21 | 1.64 |
| 324 | 22:00 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 2.0 | 3.4 | 3.0 | 1.25 | 1.2 | 1.59 |
| 325 | 22:00 | ოსი-სპარტა | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 326 | 22:00 | ვოლენდამი-ვეენდამი | 1.45 | 4.0 | 5.5 | 1.06 | 1.14 | 2.31 |

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 328 | 16:30 | ჰაარლემი-ტელსტარი | 1.45 | 4.3 | 5.2 | 1.08 | 1.13 | 2.35 |

### ნორვეგია.1 დივიზიონი

**10 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 337 | 17:00 | ალესუნდი-სტარტი | 2.15 | 3.7 | 2.5 | 1.35 | 1.15 | 1.49 |
| 338 | 17:00 | ჰაუგესუნდი-ბრინი | 2.3 | 3.8 | 2.3 | 1.43 | 1.14 | 1.43 |
| 339 | 17:00 | კონგსვინგერი-ჰიონეფოსი | 1.6 | 4.1 | 4.0 | 1.15 | 1.14 | 2.02 |
| 340 | 17:00 | მანდალი-ტრომსდალენი | 1.3 | 5.0 | 7.0 | 1.03 | 1.09 | 2.91 |
| 341 | 17:00 | მოსი-ჰიოდი | 2.1 | 3.5 | 2.7 | 1.31 | 1.18 | 1.52 |
| 342 | 17:00 | პორს გრენლანდი-რაუფოსი | 2.0 | 3.8 | 2.6 | 1.31 | 1.13 | 1.54 |
| 343 | 17:00 | სკეიდი-სანდეფიორდი | 2.65 | 3.9 | 2.05 | 1.57 | 1.15 | 1.34 |
| 344 | 17:00 | სტრიომსგოდ-ვარდ ჰაუგესუნ | 1.55 | 4.0 | 4.2 | 1.11 | 1.13 | 2.04 |

### შვედეთი.სუპერეტა

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 349 | 16:00 | ოპერა-ბოდენსი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 350 | 16:00 | ფალკენბერგი-ასირისკა | 4.0 | 3.4 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 351 | 16:00 | ფრისკა-ბრომაპოიკარნა | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 352 | 16:00 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 353 | 16:00 | ფრიოლუნდა-ბრაგე | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 354 | 16:00 | გაის-ნორჩიოპინგი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 355 | 21:00 | ვესტეროსი-გეფლე | 2.6 | 3.2 | 2.3 | 1.43 | 1.22 | 1.33 |

### პორტუგალია. სუპერლიგა

**10 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 331 | 22:45 | ბეირა მარი-მარიტიმუ | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |

### დანია.1დივიზიონი

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 335 | 17:00 | ბრიონსჰიოი-სკიოლდი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |

### ირლანდია

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 358 | 22:00 | შემროკი-დერი | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 359 | 22:45 | ბოჰემიანი-სტ.პატრიკსი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 361 | 22:45 | დროგედა-შელბურნი | 2.6 | 3.0 | 2.5 | 1.39 | 1.27 | 1.36 |

**11 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 357 | 22:45 | დუბლინი-უოტერფორდი | 2.7 | 3.0 | 2.4 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| 360 | 22:45 | კორკი-ლონგფორდი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |

### აშშ

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 363 | 23:45 | ნიუ იორკი-კოლუმბუსი | 2.25 | 3.1 | 2.8 | 1.3 | 1.24 | 1.47 |
| 364 | 23:45 | ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 365 | 23:45 | ლოს ანჯელესი-დალასი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 366 | 23:45 | სან ხოსე-კანზასი | 2.4 | 3.1 | 2.6 | 1.35 | 1.24 | 1.41 |

### სამხ. ამერიკის თასი

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 434 | 23:00 | ინტერნასიონალი-კრუზეირო | 1.8 | 3.4 | 3.7 | 1.17 | 1.21 | 1.77 |

### საფრანგეთი. თასი

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 443 | 22:00 | დიჟონი-ნიორი | 2.0 | 2.7 | 3.6 | 1.14 | 1.28 | 1.54 |
| 444 | 20:00 | ნანსი-რეიმსი | 1.7 | 2.9 | 4.7 | 1.07 | 1.24 | 1.79 |

### ამხანაგური მატჩები

**9 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 435 | 20:00 | ირანი-გერმანია | 5.5 | 3.5 | 1.55 | 2.13 | 1.2 | 1.07 |

### ეჩ.შესარჩევი მატჩები(21)

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 452 | 18:30 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1.45 | 3.8 | 5.4 | 1.04 | 1.14 | 2.23 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 453 | 23:00 | ინგლისი-უელსი | 1.25 | 5.0 | 7.5 | 1.0 | 1.07 | 3.0 |
| 454 | 23:00 | საფრანგეთი-ირლანდია | 1.35 | 4.1 | 6.8 | 1.01 | 1.12 | 2.55 |
| 456 | 17:30 | ისრაელი-შვეიცარია | 2.5 | 3.1 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 457 | 19:00 | ლუქსემბურგი-რუსეთი | 15.0 | 6.7 | 1.1 | 4.63 | 1.02 | 1.0 |
| 458 | 20:00 | მალტა-ისლანდია | 4.7 | 3.6 | 1.55 | 2.03 | 1.16 | 1.08 |
| 459 | 22:30 | შოტლანდია-ნორვეგია | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 460 | 19:30 | სლოვაკეთი-ლატვია | 1.6 | 3.4 | 4.8 | 1.08 | 1.2 | 1.99 |
| 461 | 20:30 | ესპანეთი-ბელგია | 1.35 | 4.1 | 6.8 | 1.01 | 1.12 | 2.55 |
| 462 | 21:30 | შვედეთი-უნგრეთი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 463 | 21:00 | თურქეთი-ყაზახეთი | 1.1 | 6.7 | 15.0 | 1.0 | 1.02 | 4.63 |
| 464 | 19:00 | უკრაინა-საბერძნეთი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 465 | 16:00 | ალბანეთი-დანია | 3.5 | 3.1 | 1.9 | 1.64 | 1.23 | 1.17 |
| 466 | 21:00 | ავსტრია-პოლონეთი | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 467 | 16:00 | აზერბაიჯანი-გერმანია | 8.0 | 5.0 | 1.25 | 3.07 | 1.08 | 1.0 |
| 468 | 16:00 | ბელარუსი-მოლდოვა | 1.35 | 4.2 | 6.8 | 1.02 | 1.12 | 2.59 |
| 469 | 17:30 | ბოსნია-სერბეთი | 3.2 | 3.2 | 2.0 | 1.6 | 1.23 | 1.23 |
| 470 | 23:00 | სლოვენია-იტალია | 3.0 | 3.1 | 2.1 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 471 | 17:30 | ხორვატია-ბულგარეთი | 1.55 | 3.5 | 4.7 | 1.07 | 1.16 | 2.0 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 455 | 16:30 | მაკედონია-ჰოლანდია | 4.1 | 3.6 | 1.65 | 1.91 | 1.17 | 1.13 |
| 472 | 14:00 | ფინეთი-სომხეთი | 1.25 | 5.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.07 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 819 | 19:00 | კოშიცე-მიკულაში | 1.25 | 4.8 | 6.5 | 1.0 | 1.04 | 2.76 |
| 820 | 19:00 | პოპრადი-ჟილინა | 2.1 | 4.0 | 2.4 | 1.37 | 1.12 | 1.5 |
| 821 | 19:00 | სკალიცა-დუბნიცა | 1.25 | 4.8 | 6.5 | 1.0 | 1.04 | 2.76 |
| 822 | 19:00 | სლოვანი-ზვოლენი | 2.0 | 4.0 | 2.5 | 1.33 | 1.11 | 1.53 |
| 823 | 19:00 | ტრენჩინი-ნიტრა | 1.15 | 6.5 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 3.37 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 896 | 19:30 | იოკერიტი-ტაპარა | 1.5 | 4.4 | 4.1 | 1.11 | 1.09 | 2.11 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 903 | 19:00 | ვსეტინი-პარდუბიცე | 2.75 | 4.2 | 1.85 | 1.66 | 1.1 | 1.28 |
| 904 | 19:00 | კლადნო-ზლინი | 2.1 | 4.2 | 2.3 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 905 | 19:00 | ტრჟინეცი-პლზენი | 2.0 | 4.2 | 2.5 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 906 | 19:00 | ზნოიმო-დუკლა | 1.35 | 4.2 | 5.0 | 1.02 | 1.06 | 2.28 |
| 907 | 19:00 | სლავია-ლიტვინოვი | 1.8 | 4.2 | 2.8 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| 908 | 19:00 | კარლოვი ვარი-სპარტა | 2.8 | 4.2 | 1.8 | 1.67 | 1.09 | 1.25 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 909 | 19:00 | ლიბერეცი-ვიტკოვიცე | 2.0 | 4.2 | 2.5 | 1.35 | 1.11 | 1.56 |

**ჰოკეი. გერმანია**

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 827 | 21:30 | ნიურნბერგი-მანჰაიმი | 2.0 | 4.4 | 2.5 | 1.37 | 1.11 | 1.59 |
| 828 | 21:30 | დიუსელდორფი-კიოლნი | 2.4 | 4.4 | 2.1 | 1.55 | 1.12 | 1.42 |
| 829 | 21:30 | იზერლონი-კრეფელდი | 2.0 | 4.4 | 2.5 | 1.37 | 1.11 | 1.59 |
| 830 | 21:30 | კასელი-ინგოლშტადი | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |
| 831 | 21:30 | ვოლფსბურგი-ფრანკფურტი | 2.5 | 4.4 | 2.0 | 1.59 | 1.11 | 1.37 |
| 832 | 21:00 | აუგსბურგი-ჰამბურგი | 2.5 | 4.4 | 2.0 | 1.59 | 1.11 | 1.37 |

**ჰოკეი. შვეიცარია**

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 930 | 21:45 | ფრიბურგი-ლუგანო | 2.6 | 4.2 | 2.0 | 1.6 | 1.13 | 1.35 |
| 931 | 21:45 | სერვეტი-დავოსი | 2.2 | 4.2 | 2.3 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| 932 | 21:45 | ცუგი-ციურიხი | 2.3 | 4.2 | 2.2 | 1.48 | 1.12 | 1.44 |
| 933 | 21:45 | ბერნი-ლანგნაუ | 1.45 | 4.2 | 4.8 | 1.07 | 1.11 | 2.24 |

**ჰოკეი.რუსეთი**

**8 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 948 | 18:30 | სევერსტალი-აკ | 1.35 | 5.0 | 4.8 | 1.06 | 1.05 | 2.44 |
| 949 | 19:00 | ლოკომოტივი-სპარტაკი | 1.35 | 5.0 | 4.8 | 1.06 | 1.05 | 2.44 |






## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5028 | შოტლანდია-ნორვეგია | 3,1 | 2,0 | 2,2 | 1,21 | 1,28 | 1,04 |
| 5029 | ინგლისი-უელსი | 1,55 | 2,7 | 7,5 | 1 | 1,28 | 1,98 |
| 5030 | შვედეთი-უნგრეთი | 1,8 | 2,3 | 5,6 | 1 | 1,36 | 1,63 |
| 5031 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1,95 | 2,15 | 5,3 | 1,02 | 1,42 | 1,52 |
| 5037 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5043 | არგენტინა-ურუგვაი | 1,65 | 2,45 | 7,0 | 1 | 1,33 | 1,81 |
| 5044 | ხორვატია-ბულგარეთი | 2,1 | 2,15 | 5,0 | 1,06 | 1,47 | 1,5 |
| 5046 | ავსტრია-პოლონეთი | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5047 | მაკედონია-ჰოლანდია | 7,5 | 2,7 | 1,55 | 1,98 | 1,28 | 1 |
| 5048 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,7 | 2,45 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,77 |
| 5049 | სლოვენია-იტალია | 4,6 | 2,1 | 2,25 | 1,44 | 1,51 | 1,08 |
| 5050 | ესპანეთი-ბელგია | 1,7 | 2,45 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,77 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5528 | შოტლანდია-ნორვეგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ინგლისი-უელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | შვედეთი-უნგრეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ჩეხეთი-რუმინეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | უკრაინა-საბერძნეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | არგენტინა-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ხორვატია-ბულგარეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ავსტრია-პოლონეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | მაკედონია-ჰოლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | საფრანგეთი-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | სლოვენია-იტალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | ესპანეთი-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს | | | |
|---|---|---|---|
| (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება) | | | |
| 5428 | შოტლანდია-ნორვეგია | 1,9 | 1,9 |
| 5429 | ინგლისი-უელსი | 1,2 | 4,0 |
| 5430 | შვედეთი-უნგრეთი | 1,35 | 3,2 |
| 5431 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1,45 | 2,8 |
| 5437 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,8 | 2,0 |
| 5443 | არგენტინა-ურუგვაი | 1,3 | 3,4 |
| 5444 | ხორვატია-ბულგარეთი | 1,55 | 2,5 |
| 5446 | ავსტრია-პოლონეთი | 1,8 | 2,0 |
| 5447 | მაკედონია-ჰოლანდია | 3,7 | 1,25 |
| 5448 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,3 | 3,4 |
| 5449 | სლოვენია-იტალია | 2,3 | 1,65 |
| 5450 | ესპანეთი-ბელგია | 1,3 | 3,4 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5128 | შოტლანდია-ნორვეგია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5129 | ინგლისი-უელსი | 1,6 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5130 | შვედეთი-უნგრეთი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5131 | ჩეხეთი-რუმინეთი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5137 | უკრაინა-საბერძნეთი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5143 | არგენტინა-ურუგვაი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5144 | ხორვატია-ბულგარეთი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5146 | ავსტრია-პოლონეთი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5147 | მაკედონია-ჰოლანდია | 12,0 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 5,3 | 3,5 | 25,0 | 12,0 | 1,6 |
| 5148 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5149 | სლოვენია-იტალია | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5150 | ესპანეთი-ბელგია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# ზარი საქართველოდან

## ბორისას ბრაიკოვიჩი თბილისიდან უთვალთვალებს

*ვლადიმერ ბოისას და მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიამ" ადრიატიკის ლიგა გამარჯვებით დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერჯერობით ბედმა არ გაულიმა დავით უგრეხელიძის „პივოვარნას". ეს გუნდები ერთმანეთს ადრიატიკის ლიგის პირველ ტურში შეხვდნენ და ლიუბლიანელებმა ლაშკოელები დაამარცხეს. ამათი ჯახი შედგა სამი დღის წინ სლოვენიის სუპერთასზეც და გამარჯვებულები მაშინაც ოლიმპიელები გამოვიდნენ. „ოლიმპია" — „პივოვარნას" ამ ორ დაპირისპირებას საერთო ბევრი ჰქონდა: იქაც და აქაც ბოისა გამორჩეული იყო, ხოლო მარკოიშვილმა და უგრეხელიძემ ვერც ერთ მატჩში თავი ვერ გამოიჩინეს. ვოვამ სიცხიანმა ითამაშა, მაგრამ მაინც მოახერხა ორმაგი დუბლის მითვლა და ნამატჩევს დრაჟენ ბრაიკოვიჩის სატელეფონო მილოცვაც დაიმსახურა — ჩვენი ნაკრების მწვრთნელის ტელევიზორი თურმე იმ სერბულ არხს აჩვენებს, რომელმაც „პივოვარნა" — „ოლიმპია" პირდაპირ ეთერში გადასცა... ბოისას გუშინ ლიუბლიანაში დავურეკეთ...*

— ამ თვეში „პივოვარნას" უკვე მეორედ მოუგეთ, თანაც ორივე მატჩში გამორჩეული იყავი...

— ჰო, ასე დაემთხვა, თუმც „პივოვარნა" ორივეჯერ რომ იოლად დავამარცხეთ, მთლად ჩემი დამსახურება როდია — ყველამ კარგად ითამაშა. ლაშკოელებს სუპერთასზე რამდენი ქულა ჩავუგდე, აღარც მახსოვს, მოხსნა კი, მგონი, 15 დამიგროვდა. წესით, „პივოვარნას" ახლა უფრო მეტი მონდომებით უნდა ეთამაშა, მაგრამ რევანშის აღება ვერ მოახერხა და შინ 22 ქულით დამარცხდა.

— მაგ მატჩშიც ბრწყინვალედ გითამაშია...

— ორმაგი დუბლი შევასრულე, მაგრამ ძალიან გაოცებული დავრჩი, რადგან 38 გრადუსი სიცხით ვთამაშობდი. მთელი წინა დღე საწოლში გავატარე და მატჩზე სრულიად მოუმზადებელი მივედი. ამიერიდან თამაში თუ არ წამოვა, ძალით უნდა გავცივდე და ალბათ სიცხიანი უფრო ვიხეირებ...

— მოედანზე ორი ქართველიც იყო...

— მარკოიშვილმა და უგრეხელიძემ ცოტა ხნით ითამაშეს. „უგრეს" პოზიციაზე მოთამაშემ ბევრი პრობლემა შეგვიქმნა და „პივოვარნას" მწვრთნელსაც დათო იშვიათად შემოჰყავდა მოედანზე.

— მარკოიშვილს უკვე მეორე თამაში ჩაუვარდა. რას იტყვი მასზე, შეძლებს „ოლიმპიაში" დამკვიდრებას?

— სლოვენიის საუკეთესო გუნდში ფეხის მოკიდება იოლი არ არის. „მანოს" "ბენეტონში" უთამაშია, მაგრამ აქ სულ სხვა კალათბურთია და აკლიმატიზაციის გაუვლელად თამაში მხოლოდ ძალზე გამოცდილს თუ გაუადვილდება. მარკოიშვილი ერთ-ორ თვეში აუცილებლად იპოვის თავის თამაშს. რაც მთავარია, მონდომება და შრომისმოყვარეობა არ აკლია.



— შენ კი უკვე კარგა ხანია, იპოვე შენი თამაში „ოლიმპიაში". ამ სეზონში უფრო შედეგიანი ჩანხარ. რაშია საქმე?

— ეს ალბათ ჩემი ბოლო სეზონია „ოლიმპიაში" და ძალიან მინდა, ეს გუნდი ისე დავტოვო, ქომაგებს მხოლოდ კარგად დავამახსოვრდე. ძალიან მონდომებული ვარ, მიზნად „ოლიმპიას" ლიდერობა დავისახე და ამის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებ.

— ბოლო სეზონი რატომაა, ეგებ „ოლიმპიამ" უკეთესი კონტრაქტი შემოგთავაზოს?

— თუ ძალიან კარგ პირობებს შემომთავაზებს, რა თქმა უნდა, დავრჩები, მაგრამ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, არა მგონია, ასე მოხდეს. „ოლიმპიადან" თანდათან მიდიან სპონსორები და ამ სეზონში აქ თამაშს მხოლოდ მოქმედი კონტრაქტის გამო დავთანხმდი. დარჩენა კი არა, თუ გუნდის ხელმძღვანელობამ სეზონის ბოლოს ხელფასები დაგვიგვიანდა, „ოლიმპიას" ნაადრევად დავტოვებ.

— და სად წახვალ?

— ახლა არ ვიცი, მაგრამ სეზონის ბოლოს აუცილებლად მონახავ კარგ გუნდს. იმიტომაც მინდა შედეგიანი თამაში, რომ „ოლიმპიაზე" არანაკლებ გუნდში გადავიდე.

— შედეგიანობაში ალბათ კაპიტნობაც გეხმარება...

— ახლა კაპიტნობას დიდ ყურადღებას აღარ ვაქცევ. შარშან იმდენი ვამხნევე ბიჭები, მიდით, მიდით-მეთქი, მგონი გადამავიწყდა, მეც რომ მოთამაშე ვარ. ნამეტან მზრუნველობას რომ ვიჩენდი, ალბათ ამიტომ მქონდა ჩავარდნა. ახლა შედარებით ინერტული ვარ და მგონი, უკეთ გამომდის ყველაფერი.

— მწვრთნელიც ალბათ კმაყოფილია შენით. რა გითხრა თამაშის შემდეგ?

— „ოლიმპიას" მწვრთნელს არაფერი უთქვამს, საქართველოს ნაკრების თავკაცმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა კი თამაშის შემდეგ დამირეკა, გიყურე და ძალიან კარგად ითამაშეო.

— საიდან გიყურა ბრაიკოვიჩმა, მანდ ხომ არ არის?

— „პივოვარნა" — „ოლიმპია" რომელიღაც სერბულმა არხმა გადასცა და ბრაიკოვიჩს ალბათ თბილისში აქვს ეს არხი. რა ვიცი, ზარი კი საქართველოდან იყო...

**ირაკლი ბერტაია**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადიანური დააწყვილეს

**15 ოქტომბერს** დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი დაიწყება, გუშინ კი კალათბურთის ფედერაციაში ამ ტურნირში მონაწილე გუნდები ჯგუფებში გაანაწილეს.

დადიანის ტურნირი ტრადიციულია და წლეულს მესამედ იმართება. ასევე ტრადიციულია მონაწილეთა ოდენობაც — დადიანურზე წლეულსაც რვა გუნდი მონაწილეობს, ოღონდ პირველად ხდება, რომ ამ ტურნირს უცხოელებიც დააჭაშნიკებენ.

„ნტდ-დევონი" ბაქოს გუნდია და მას ჩვენებური ნუგზარ კანდელაკი წვრთნის. „დევონში" ასევე ოთხი ქართველი კალათბურთელია, რომლებსაც დადიანის თასი შარშანწინ მოუგიათ ბათუმის „ბასკოს" შემადგენლობაში.

ტურნირის ფორმატი უცვლელია: გუნდები ჯგუფებში ერთ წრედ ითამაშებენ და მეორე ჯგუფის თანატოლებს შეხვდებიან — ანუ ბოლო ადგილზე გასული მეორე ჯგუფის უსუსტესს შეხვდება, მესამე — მესამეს, ხოლო მეორეადგილოსნები მესამე ადგილისთვის მატჩს ითამაშებენ. სათაო ბრძოლა ჯგუფის გამარჯვებულებს შორის 18 ოქტომბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, დადიანურის ლაურეატებს: შარშან „სტუ-ჯეოსელმა" იმარჯვა, შარშანწინ კი „ბასკომ".

**დუდუ დადიანის სახელობის საერთაშორისო მემორიალი**

**ა ჯგუფი**

სტუ (თბილისი)
თსუ (თბილისი)
მაკაბი (თბილისი)
ნტდ (აზერბაიჯანი)

**ბ ჯგუფი**

დინამო (თბილისი)
თუჯი (რუსთავი)
სსუ (სოხუმი)
ბურჯი (თელავი)

| | |
|---|---|
| 15 ოქტომბერი, პარასკევი | |
| თსუ — მაკაბი | 11.00 |
| დინამო — ბურჯი | 13.00 |
| *მემორიალის გახსნა* | 14.30 |
| სტუ — ნტდ | 15.00 |
| თუჯი — სსუ | 17.00 |
| 16 ოქტომბერი, შაბათი | |
| ბურჯი — თუჯი | 11.00 |
| დინამო — სსუ | 13.00 |
| მაკაბი — სტუ | 15.00 |
| ნტდ — თსუ | 17.00 |
| 17 ოქტომბერი, კვირა | |
| სსუ — ბურჯი | 11.00 |
| მაკაბი — ნტდ | 13.00 |
| სტუ — თსუ | 15.00 |
| დინამო — თუჯი | 17.00 |
| 18 ოქტომბერი, ორშაბათი | |
| ა-4 — ბ-4 | 11.00 |
| ა-3 — ბ-3 | 13.00 |
| ა-2 — ბ-2 (III ადგ-თვის) | 15.00 |
| ა-1 — ბ-1 (ფინალი) | 17.00 |

# სტუდენტურმა რევოლუციამ თსუ ჩააფიქრა



რონ მეტრეველის წასვლამ სტუდენტები გაუგებარ მდგომარეობაში ჩააყენა

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტს რექტორი რომ შეეცვალა, გეცოდინებათ. უფრო სწორად, რონ მეტრეველი წავიდა და სანამ ახალი მოვიდოდეს, უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდში გაურკვევლობა სუფევს. ახალი რექტორის დანიშვნას დრო სჭირდება, დუდუ დადიანის ტურნირი კი აგერ, კარზე მოადგათ თსუ-ელებს.

„რონ მეტრეველის წასვლის შემდეგ გაურკვევლობაში ვართ. არ ვიცით, რა დაფინანსება გვექნება და გვექნება თუ არა საერთოდ. ალბათ მთლად ასე არ მოხდება, მაგრამ ხომ შეიძლება, ახალმა რექტორმა თქვას, უმაღლეს ლიგაში საკალათბურთო გუნდი არ გვჭირდებაო და ეს ამდენი მოთამაშე ჰაერში გამოეკიდოს" — ამბობს თსუ-ს მწვრთნელი გია ჯავახიშვილი.

სტუდენტებს ძველებურად ძლიერი ვერა, მაგრამ მაინც ჰყავდათ გუნდი შეკრებილი და ახალი სეზონისთვის ემზადებოდნენ. ისინი ახლაც ვარჯიშობენ, მაგრამ მზადებას გემოს ვერ ატანენ, რაკი არ იციან, რა მომავალი ელით.

ჯავახიშვილის თქმით, ყველაფერი დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს, როცა უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრორექტორი ხუროძე სამსახურს დაუბრუნდება — „ხუროძე ავად იყო და ამ დღეებში სამსახურში ვერ დადიოდა, უმისოდ კი თსუ-ს მომავალ ხელმძღვანელობასთან შესვლას აზრი არ ჰქონდა, რაკი ხუროძე პატრონობს უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდს. ხვალ ან ზეგ იგი სამსახურს უბრუნდება და ყველაფერიც ამის შემდეგ გაირკვევა. არა მგონია, უნივერსიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ უარი თქვას საკალათბურთო გუნდზე."

თსუ წლეულს ალბათ ითამაშებს ეროვნულ ჩემპიონატში, მაგრამ ისეთი ამბიციები ვერ ექნება, როგორც წინა სეზონში. ამ ზაფხულს სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი არაერთმა გამოცდილმა მოთამაშემ დატოვა — დავით თორთლაძემ, კახა შენგელიამ, ამროსი ორმოცაძემ, მამუკა აბრამიძემ. „ძველი გვარდიიდან" სტუდენტებს მხოლოდ სამი მოთამაშე შემორჩათ: ირაკლი მაისურაძე, ნუგზარ კოკოლიშვილი და გიგი ნაცვლიშვილი. თსუ-ს დანარჩენი მოთამაშეები სრულიად ახალგაზრდები არიან.

**ირაკლი ბერტაია**



# ნუ მიბღვერ, მაინც გაგეცლები

## ვანო გრიქუროვი პოლონეთიდან მოდის

*ათენიდან ტრიუმფით დაბრუნებული ვანო გრიქუროვი საქართველოში დიდხანს არ გაჩერებულა. მოგეხსენებათ, ოლიმპიური ჩემპიონების მჭედელს პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციასთან ჯერ კიდევ აკავშირებს კონტრაქტი, მაგრამ მისი გაწყვეტა დროის ამბავი უნდა იყოს. ბატონი ვანო პოლონეთში იმყოფებოდა და რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა საქართველოში, ყოფილ შეგირდ კახი კახიაშვილთან ერთად ცხინვალში მამა მოინახულა, გუშინწინ კი თბილისში დაბრუნდა. გიორგი ასანიძის გმირობის მონაწილე გრიქუროვი პოლონელთა ღვარძლიანობას ადრეც ხშირად აღნიშნავდა, ახლა კი გვითხრა: ათენური გამარჯვება ცალყბად მომილოცეს პოლონეთში და ოქროს ზოდებს რომ შემპირდნენ, გიორგი ასანიძესა და არსენ კასაბიევს არ მივატოვებო. დაფუძნდება თუ არა ბატონი ვანო საქართველოში? – ყველას ეს აინტერესებს და ჩვენი საუბარიც მეტწილად ამ თემას შეეხო:*

— როგორც კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონის მწვრთნელს, როგორ დაგხვდნენ პოლონეთში?

— ცივად. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვისაც გასაგებია — პოლონელებს 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ ძალოსანი ოლიმპიური ჩემპიონი არ ჰყოლიათ, მე კი ბოლო ორ ოლიმპიადაზე ორი სპორტსმენი მივიყვანე გამარჯვებამდე და თუ იმასაც დავამატებთ, რომ სიდნეიში გიორგი ასანიძემ მხოლოდ წონის გამო წააგო, ეს ციფრი რეალურად სამი უნდა იყოს. ერთიცაა, პოლონელთა თვალში ჩემი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა, მაგრამ გაიზარდა ანტიპათიაც.

— ესე იგი, თან თქვენი დატოვება სურთ და თან წყენას გაგრძნობინებენ?

— ასეა, მაგრამ არჩევანი თითქმის გაკეთებული მაქვს. 9 წელია, პოლონეთში ვარ, მაგრამ ჩემი სამშობლო საქართველოა...

— კონტრაქტის გაწყვეტაზე ხომ არ გქონიათ საუბარი?

— მარტამდე მაქვს კონტრაქტი, მაგრამ 90 პროცენტით ვიცი, რომ ჩემი სურვილით დავარღვევ. 17 ოქტომბერს მივდივარ პოლონეთში და ალბათ ამ საკითხს წერტილი დაესმება. თუ მაგ დროს საქართველოში საქმე მექნება, მაშინ აღარ ჩავალ, მაგრამ მაინც წასასვლელი ვარ — არსენ კასაბიევი უნდა ჩამოვიყვანო.

— აქაურ პირობებზე რას იტყვით?

— მაგ თემას ჯერჯერობით არ შევეხები.

— ცხინვალში თქვენ და კახი კახიაშვილს პრობლემები ხომ რა შეგიქმნიათ?

— არა, პირიქით, ყველანი კარგად შეგვხვდნენ. მე და კახიმ მამები მოვინახულეთ.

— კახიაშვილი ცხინვალში დარბაზის შექმნას აპირებს. უკვე დაიწყო მშენებლობა?

— ჯერ არა, ისე ჩავედით.

— ნაოლიმპიადევს არსენ კასაბიევთან ერთადაც იყავით ცხინვალში და მას როგორ შეხვდნენ?

— თბილად დახვდნენ, შეაქეს. ყველას მოეწონა მისი ათენური გამოსვლა, თუმც ბევრს არ გაუხარდა, რომ არსენი საქართველოს სახელით გამოდიოდა.

— ხომ არ არის საშიშროება, კასაბიევი რომელიმე სხვა ქვეყანამ, თუნდაც პოლონეთმა გადაიბიროს?

— მცდელობაც რომ იყოს, ეს საქმე უჩემოდ ვერ განხორციელდება. შესაძლოა, ზედმეტად დარწმუნებული ვარ, მაგრამ მჯერა, რომ არსენს ხელს ვერავინ ახლებს. ეგეც არ იყოს, კასაბიევს ზესანწაული ჯერ არაფერი გაუკეთებია და ამდენად, მასზე მოთხოვნილებაც ნაკლები იქნება.

— არის ვარაუდი, რომ კახი კახიაშვილს 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე სიმბოლურად კარიერის დასრულება საქართველოს სახელით და თქვენი მწვრთნელობით სურს.

— ეს მხოლოდ თეორიაა, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ არავინ იცის. მშვენიერი იდეაა, თუ ხორცი შეესხმება...

**ილია ნანობაშვილი**



კომპანია ზევსი ®
უჯალაფერი ბილიარდისათვის

# საქართველომ ბილიარდში გამოცდა ჩააბარა




დავით ალექსიძე, ჯამლეტ ხუხაშვილი, დავით ხაჩიძე და თამაზ შილაკაძე

გუშინ სასტუმრო „მეტეხის“ საპრესკონფერენციო დარბაზში ბილიარდში მოტრიალე ხალხი შეიყარა. როგორც თავად აღნიშნეს, ცოტა დაგვიანებული პრესკონფერენციის მთავარი მიზანი წლევანდელი სეზონის შეფასება და მომავალ გეგმებზე საუბარი იყო. ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ალექსიძემ, ბილიარდის მოყვარულთა საზოგადოების თავკაცმა თამაზ შილაკაძემ და კომპანია „ზევსის“ პრეზიდენტმა დავით ხაჩიძემ ძირითადად ახლახან თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირ „კავკასიის თასზე“ ისაუბრეს. ქართველთაგან ტურნირის წარმატებულ მასპინძლობაზე თურმე თვით მსოფლიო ბილიარდის შეფებიც ალაპარაკებულან.

ვიდრე სამი პრეზიდენტის ნაუბარს გაგაცნობდეთ, მოკლედ „კავკასიის თასზე“ ვთქვათ. რუსულ „პირამიდაში“ უმაღლესი კატეგორიის ეს საერთაშორისო ტურნირი მსოფლიოს საუკეთესო მობილიარდეებმა დააფასეს. პირველობა 17 წლის უკრაინელმა, ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა ალექსანდრე პალამარმა იზეიმა. ყველაზე ტიტულიანმა სტუმრებმა, მსოფლიოს ჩემპიონებმა — კანიბეკ საგინდიკოვმა (ყაზახეთი) და ევგენი სტალევმა (რუსეთი) კი ფინალს ვერ უწიეს.

ქართველთაგან ყველაზე უკეთ ივა არჩვაძემ ითამაშა, რომელმაც საგინდიკოვთან ერთად მესამე ადგილი დაიკავა.

**დავით ალექსიძე:**

„ივა არჩვაძემ ამ წარმატებით მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში დაიმსახურა. მის გარდა დეკემბერში მოსკოვში საქართველოს ღირსებას მერაბ ჩიტაური დაიცავს, რომელიც ბოლო დროს ჩვენებურთაგან ყველაზე სტაბილურად თამაშობს. მსოფლიოს პირველობა სეზონის ბოლო აკორდი იქნება, მანამდე კი ქართულ ბილიარდში ბევრი საინტერესო მოხდება. ოქტომბრის დასასრულს ან ნოემბრის დასაწყისში ფედერაციის ყრილობა შეიკრიბება და პრეზიდიუმის და პრეზიდენტის არჩევნებსაც ჩავატარებთ, შემდეგ კი კლუბი „ზევსი“ საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. აქამდე იგი ყოველი წლის სექტემბერში ბათუმში იმართებოდა, მაგრამ ამჯერად თბილისში გადმოვიტანეთ.

...„კავკასიის თასის“ მაღალ დონეზე ორგანიზება კომპანია „ზევსმა“ უზრუნველყო, რომელიც ბილიარდის მაგიდებისა და აქსესუარების წარმოების დარგში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კომპანია „ბილიარდაის“ ოფიციალური პარტნიორი და ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში. სწორედ „ზევსმა“ განათავსა ამ ტურნირისთვის სპეციალურად დამზადებული რვა მაგიდა ვერის ბაღის დარბაზში. ამ მაგიდებმა მოთამაშეების და საპატიო სტუმრების მოწონება დაიმსახურა, ხოლო „პირამიდის“ საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი იგორ ბარსკოვი ტურნირის ორგანიზებით ისეთი კმაყოფილი დარჩა, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზეც თავად ჩამოგვიგდო სიტყვა. ბილიარდის მსოფლიო კონფედერაციის შეფმა იორგენ სანდმანმა კი 2005 წლის მსოფლიო კონგრესზე მიგვიწვია დუისბურგში. ჯერ ძნელი სათქმელია, მომავალი წლის ევროპის ჩემპიონატს მივიღებთ თუ მის შემდეგს. დაზუსტებით მხოლოდ „კავკასიის თასის“ პერსპექტივაზე საუბარი შეიძლება. იგი ტრადიციული ტურნირი გახდა და მომავალ წელსაც საქართველოში, ალბათ, ბათუმში გაიმართება. „ბასკოს“ საკალათბურთო დარბაზი საამისოდ ნამდვილად საუკეთესო ვარიანტია. ვერის ბაღში ლამაზი თამაშების სრულად აღთქმა ცოტა ძნელი იყო.

... ჩვენების თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. ურიგოდ ნამდვილად არ გამოსულან, თან გასათვალისწინებელია, რომ ძირითადად ახალგაზრდები იყვნენ. ერთადერთი, პაატა ხმალაძისგან ველოდით მეტს. იგი „კავკასიის თასამდე“ მოსკოვის მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატიც იყო.

...უკვე გადაწყვეტილია, რომ 2008 წლის ოლიმპიადაზე ამერიკულ „პულს“, ბრიტანულ „სნუკერს“, ფრანგულ „კარამბოლსა“ და რუსულ „პირამიდასაც“ შეიტანენ. ჩინეთში მას მხოლოდ საჩვენებელი დატვირთვა ექნება, 2012 წლიდან კი ბილიარდი სრულუფლებიანი ოლიმპიური სახეობა გახდება.

**დავით ხაჩიძე:**

„კავკასიის თასით“ ყველა სტუმარი აღფრთოვანებული დარჩა, რამაც ძალიან გამახარა. ეს წარმატება სამომავლოდ ტურნირს მეტ ინტერესს შესძენს. თუნდაც ის რად ღირს, საქართველოში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების პერსპექტივა რომ გამოჩნდა.

ტურნირის რვა მაგიდიდან ორს უკვე გამოუჩნდა ახალი პატრონი. დანარჩენი ექვსი კი იყიდება. ჩვენი კლუბი ყველა საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებს და მეტრო „გოცირიძესთან“ მდებარე საბილიარდო „ზევსშიც“ ნებისმიერ მსურველს შეუძლია საუკეთესო მაგიდებზე თამაში.“

**თამაზ შილაკაძე:**

„ბილიარდის პოპულარობა ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა. ეს ტენდენცია საქართველოშიც იგრძნობა, რაც სასიხარულოა. ჩვენი მთავარი ამოცანაა, სპორტის ამ სახეობით რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დავაინტერესოთ.“

*ბოლოს, ვისაც ინტერნეტზე ხელი მიგიწვდებათ, „კავკასიის თასისა“ და მთლიანად ქართული ბილიარდის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ სპეციალურ ვებ-გვერდს ესტუმროთ — www.billiard.ge*

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ამასაც მოვესწარით!

## ხალხი მოძალადეს იცავს



რიკარდო მაიორგა

**ნიკარაგუელი** საშუალოწონოსანი მოკრივე რიკარდო მაიორგა იქნებ გაგონილი გქონდეთ. ეს კაცი ადრე WBO-ის ქამარსაც ფლობდა, ხოლო გასულ შაბათს მძლავრი ნოკაუტი მიიღო ფელიქს ტრინიდადისგან. „ელ მატადორად“ წოდებულმა მაიორგამ ამ ბრძოლის შემდეგ დიდი კრივიდან წასვლა გადაწყვიტა: „უკვე ბლომად ფული დავაგროვე, რომელსაც რაღაც საქმეებში დავაბანდებ. მუშტი-კრივი კი მომწყინდა, 11 წლიდან ხელთათმანები მიკეთია, დავიღალე.“ მოკლედ, მაიორგა რინგიდან მიდის, მაგრამ სად?..

მაგრამ ეს ნიკარაგუელი ხომ არც ტაისონია და არც ლუისი, მისი წასვლა რომ გამოგვეტირა. აქ სხვა ამბავია... მაიორგას თანამემამულე 20 წლის გოგონას გაუპატიურებას აბრალებენ. გოგონა ამბობს, ნასადილევს სასტუმროს ნომერში ამათრია, ხოლო გამხეცების მომენტში სასმელის სუნად ყარდაო. ეს ტრინიდადთან ბრძოლამდე მოხდა.

ტრინიდადთან წაქცეული მაიორგა კი ნიკარაგუაში თავისი ფეხით ეახლა სასამართლოს, რომელმაც იმ დღესვე შინაპატიმრობა და 1000 დოლარის გადახდა დაუწესა. ცხადია, ეს განაჩენი მოკრივის ფანებს არ მოეწონათ; გზაც კი გადაკეტეს და თავიანთი კერპის განცხადებაც მოიშველიეს — რა გაუპატიურება, გოგონა აქეთ ყელზე მეკონწიალებოდაო...

თუმცა რიკარდოს არავინ უსმენს, დოკუმენტი ჩვენს ხელშიაო. პროკურორი ოდეტ ლეიტონი კი მის შინაპატიმრობას ლმობიერ სასჯელად მიიჩნევს, მაგ კაცის ადგილი ციხეშიაო. ორგანიზაცია „ქალები ძალადობის წინააღმდეგ“ წარმომადგენელ ინეს კაბრალესს კი მაიორგას საქციელზე მეტად მისი ქომაგების საქციელი აღელვებს — ამასაც მოვესწარით, რომ ხალხი მოძალადეს იცავსო.

**ილია ნანობაშვილი**

ჩოგბურთი

# კიმი ვერ ითამაშებს, მაგრამ არც გაიქრება





**მსოფლიოს** პირველოსანყოფილ ქალმეჩოგნე კიმ კლაისტერსს მთელი ეს სეზონი მაჯის ტრავმამ რომ წაუმურდლა, საქმეში თუნდ ჩაუხედავი მკითხველისთვისაც დასტურ ცნობილი ამბავი უნდა გახლდეთ. ბუთქუნა ბელგიელი სარბიელს ხუთთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ წინა კვირაში, მშობლიურ კორტზე დაუბრუნდა, მაგრამ მაჯამ ბარაქიანი ჩოგნაობა მხოლოდ ნახევარფინალამდე აცალა, მერე კი კვლავ აუტკივდა და მორიგი, ამჯერად უკვე ექვსკვირიანი უქმობა აპკიდა.

ავი ენები მყისვე აყაყანდნენ, რომ კიმი უოპერაციოდ ახლა ნაღდად ველარ გადარჩებაო, მაგრამ მის პირად ვებსაიტზე შესული კეთილმოსურნე იმედიანად ამოიკითხავს: „ოპერაციის საჭიროება საამმომენტოდ არ არსებობს.“ ერთი ეგ არის, ზემოთხსენებული ექვსკვირიანი უქმობა ნიშნავს, რომ ლეიტონის ბუთქუნა ნანდაური წლეულს საჩოგბურთო თვალსაზრისით უკვე ველარაფრის გაკეთებას შეძლებს, ცხადია, ტელევიზიით მეტოქეთა ცქერის გარდა. თუმცა საიტი მაინც გვამშვიდებს, იანვრიდან კიმი უკვე თქვენს განკარგულებაში იქნებაო.


## ქართული სპორტის ფოტო ისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.


ავტორბოლა



ნაიჯელ მენსელი

# ალბიონზე ნისლი იფანტება

## ნაიჯელ მენსელის მეგობრები სილვერსტოუნს გადაარჩენენ

**როგორც ირკვევა,** უძველესი ბრიტანული ტრასა „სილვერსტოუნი“ გადაურჩება ფორმულა 1-ის შეფის ბერნი ეკლსტოუნის მზარდ მადას. სამეფო ფორმულის წრეებში ნაკლებად ცნობილი ბიზნეს-ჯგუფის წარმომადგენლებმა — რომელთა შორის ფორმულა 1-ის ყოფილ ჩემპიონ ნაიჯელ მენსელსაც ვხედავთ — განაცხადეს: ეკლსტოუნთან შეთანხმებას მივაღწიეთ, რომლის თანახმადაც „სილვერსტოუნი“ მინიმუმ შვიდი წლით იხანგრძლივებს ბრიტანეთის დიდი პრიზის მასპინძლობის უფლებასო.

დაახლოებით ერთი კვირის წინ ეკლსტოუნი აცხადებდა — ბრიტანეთის ეს უძველესი და ლეგენდარული ტრასა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ფორმულა 1-ის მოთხოვნებსო და საგაისო ჩემპიონატის წინასწარი კალენდარში არც შეუტანია.

„ჩვენ გავგზავნეთ წინადადება BRDC-ის (ბრიტანეთის ავტომრბოლთა კლუბი) და სრულად ვიზიარებთ მათ აზრს იმის თაობაზე, რომ „სილვერსტოუნის“ ტრასაზე რბოლები არაფრისდიდებით არ უნდა შეწყდეს“ — რადიო BBC-ისთან ინტერვიუში განაცხადა ამ ჯგუფის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა კიმ კოკბერნმა, კითხვაზე, შეუძლიათ თუ არა მათ იმ რამდენიმე მილიონი ფუნტის შოვნა, რომელსაც ეკლსტოუნი ითხოვს, კოკბერნმა დასტური ბრძანა.

ბერნი ეკლსტოუნს არ აკლია დიდი პრიზის მასპინძლობის მსურველი ქვეყნების განაცხადები და, როგორც მოგახსენეთ, უკვე მზად აქვს მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი. თუმცა მისი სიტყვები ბრიტანელი ავტომოყვარულებისთვის საკმაოდ დამაიმედებლად ჟღერდა — „მე ველაპარაკე კიმ კოკბერნს და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ხალხთან თანამშრომლობას კარგი შედეგის მოტანა შეუძლია.“

# დალარას დარი-დარა-რა

**ფორმულა 1-ის** დიდ ოჯახს სახლიდან კარგა ხნის წინ წასული შვილი უბრუნდება. ბრიტანული ავტოჟურნალის ცნობით აქამდე უქმი იტალიური საჯინიბო „დალარა“ 2006 წლიდან დიდ გზაზე დაბრუნებას აპირებს და ამას ამ უქმეებზე იაპონიაში გააცხადებს, სადაც ფორმულა 1-ის ცირკი შეიყრება იაპონიის დიდი პრიზის გასამართად.

ბოლო დროს ფორმულა 1 აშკარა კრიზისს განიცდის და ეს პირველ რიგში ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული. სწორედ ფინანსების სიმწირესთან იყო დაკავშირებული „პროსტის“ და „ეროუზის“ საჯინიბოების დაშლა. პრობლემები აქვთ ფრანგებსაც.

წლევანდელი სეზონის შემდეგ „პროსტის“ და „ეროუზის“ ბედი შეიძლება კიდევ ორმა გუნდმა — „მინარდიმ“ და „ჯორდანმა“ გაიზიაროს, თუმცა როგორც ირკვევა, ერთ-ერთი მათგანის ადგილს 2006 წლის სეზონში იტალიური „დალარა“ დაიკავებს.

1960-იან წლებში „ფერარის“, „მაცერატის“, „ლამბორჯინის“ და „დი ტომაზოს“ საავტომობილო კონცერნებში ინჟინერ-აეროდინამიკოსად ნამუშევარ ჯანპაოლო დალარას მიერ 1972 წელს ჩამოყალიბებული კომპანია საკმაოდ ცნობილია ავტოწრეებში. 1988-92 წლებში „დალარა“ საბურავების მთავარი მიმწოდებელი გახლდათ „ფერარის“ ქარხნისთვის. მათ დიდი წვლილი შეიტანეს „ჰონდას“ დაბრუნებაში ფორმულა 1-ის ტრასებზე. ამას გარდა 1997-დან მოყოლებული „დალარა“ აწარმოებს საბურავებს იმ გუნდებისთვის, რომლებიც ოკეანისგაღმა „ინდი“ სერიის ავტორბოლებში იღებენ მონაწილეობას. არც „ალფა-რომეოს“, „აუდის“, „ლანჩიას“, „ტოიოტასა“ და „ჰონდას“ მიერ მოწყობილ სარბოლო პროექტებში მონაწილეობაა ამ კომპანიისათვის უცხო.

ახლახან კი „დალარას“ მესვეურებმა გადაწყვიტეს თავად მიიღონ მონაწილეობა ფორმულა 1-ის რბოლებში, თუმცა 2006 წლამდე ეს არ მოხერხდება. რუსულმა ფირმამ, რომელიც კომპანიის დასპონსორებას აპირებს, გადაწყვიტა ინკოგნიტოდ დარჩენა და ჯერ-ჯერობით ვინაობას არ ასახელებს.

**ლადო ფულუკიძე**

REUTERS ლოს ანჯელესიდან



# პარასკევ ღამის სინათლეები

აბა, მოდი და იცანი, აი, ასეთი ძაან სერენა... ჰოლივუდში ფილმის პრემიერაა და ჩოგბურთის ვარსკვლავიც იქ ყოფილა. თავად ფილმი სპორტულია და საფუძვლად ერთი ტეხასური სკოლის საფეხბურთო გუნდის ნამდვილი ამბავი უდევს. სახელად კი „პარასკევ ღამის სინათლენი" ჰქვია. სერენა კი იმგვარ იერზე დამდგარა, რომ სიბნელეშიც გამოანათებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS სენტ ჯეიმსიდან





# იქორწინეს

ტაიგერ ვუდსმა, გოლფის ჯადოქარმა და უპირველესმა ვარსკვლავმა თავის მეგობარ გოგოზე, შვედ ერინ ნორდინგენზე იქორწინა. ქორწილი კარიბეთში, ბარბადოსზე გაიმართა, სანო ლეინის განთქმულ კურორტზე, ზღაპრულ მამულში. სიძემ პატარძალს მოკრძალებული საჩუქარიც მიუძღვნა: აი, ეს იახტა, სახელად „ფრაივისი".

REUTERS სენტ ჯეიმსიდან



# მზადება და სვირინგი

ბრაზილიის ნაკრები კვლავაც შეკრებილა ტერესოპოლისში, რათა კარგად მოემზადოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის, რომელშიც ვენესუელელთა დამამათებას აპირებს. რონალდო ვარჯიშობს, ფოტოგრაფები კი სვირინგებს ეძებენ მის ნატანჯ ფეხებზე. ამური თავისი მშვილდისრით და შვილის სახელი „რონალდ" ალბათ იმას ნიშნავს, რომ ბიჭუნა სიყვარულის შედეგია.

REUTERS ტერესოპოლისიდან



REUTERS ლას ვეგასიდან



# პელე ლას ვეგასში

პელეს ლას ვეგასშიც ჩაუღწევია, სადაც კიდევ ერთი სათამაშო მანქანა დაუდგამთ. მანქანას „პელეს ლეგენდარული გოლები" ჰქვია და ალბათ ისიც ისევე გაფცქვნის მოთამაშეებს, როგორც სხვა მანქანები. პელეს კი ავტოგრაფები არ დანანებია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@go!.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge